სულხან-საბა ორბელიანი

სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი

ს. იორდანიშვილის
რედაქციითა და წინასიტყვაობით

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა
თბილისი — 1949

წინასიტყვაობა

უსაზღვროდ დიდია და მრავალმხრივი ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს (1658 — 1725) ღვაწლი სამშობლოს წინაშე:

დიდი სახელმწიფო მოღვაწე, — „ქართველთა მამად“ წოდებული, დიდი ქართველი მწერალი, — უებრო მეიგავედ აღიარებული.

საუკუნეთა მანძილზე კიდევაც რომ მიიჩრდილოს სულხან-საბას ეს დიდი ღვაწლი, მის დიდების გვირგვინს მაინც შერჩება ობოლ მარგალიტივით და თავის ჯავარს არ დაჰკარგავს მისი „ქართული ლექსიკონი“, რომელსაც მისმა აღზრდილმა ვ ა ხ ტ ა ნ გ VI-მ მხატვრულად „სიტყვის კონა“ უწოდა.

რაც უფრო მეტი დრო გავა, იმდენად მეტს ღირებულებას მოიპოვებს ქართველთა თვალში და საქართველოთი დაინტერესებულ მეცნიერთა შორის ეს მისი დიდი შრომა, როგორც პირველი ფასდაუდებელი საუნჯე იმ ქართული ენისა, რომელზედაც კაცობრიობამ მიიღო რუსთველის ტკბილ ქართულზე დანამღერი „ვეფხისტყაოსანი“ და ახალ ქვეყნის მშენებელ-მშრომელებმა კაცობრიობის დიდი ბელადის ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს ჭაბუკობისა და სიყრმის ნაწერები.

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ცდას მოგვცეს ბეჭდური პირი იმ „სიტყვის კონისა“, რომელიც სულხან-საბამ დაუტოვა საყვარელ სამშობლოს, ვიდრე ამ ქვეყნიურ მწირობას მოჰრჩებოდა და დაღლილ სხეულს მოსკოვის მიწას მიაბარებდა.

სულხან-საბა ორბელიანის ეს გამოცემა, (რიგით მესამე [1]), დამყარებულია „სიტყვის კონის“ იმ ხელნაწერზე, რომელიც გადაწერილია საბას ძმის ზოსიმე ბერის მიერ თეთრს რუსეთს, მოსკოვს, 1725 წელს და რომელიც ამ ჟამად დაცულია საქართველოს დედა ქალაქ თბილისში [2].

რატომ ავირჩიეთ ეს ხელნაწერი ჩვენი გამოცემის საფუძვლად?

ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ანგარიში გავუწიეთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას ამ ხელნაწერის „ავტოგრაფობის“ შესახებ [3]. ეს მოსაზრება დამყარებულია

---

[1] სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ პირველად 1884 წელს გამოიცა; მეორედ — 1928 წელს. იხ. I. ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან, გამოცემული რაფ. დ. ერისთვის რედაქტორობითა და ალექსანდრე ეპისკოპოზის საფასით. თბილისი, არსენ კალანდაძის და ამხ. სტამბა, 1884. II. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი. პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით. გამომცემლობა „ქართული წიგნი“. ტფილისი, 1928 წ.

[2] იხ. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში ხელნაწერი H № 1429. ხელნაწერის სასტამბოდ გადმოწერაში თანამშრომლობა გამიწიეს ამხ. ვ. კ ა ს რ ა ძ ე მ და შ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ მ ა.

[3] იხ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ა ლ., სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფული ლექსიკონი, ენიმკის მოამბე V — VI. ცალკე ამონაბეჭდი. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა. თბილისი, 1940. გვ. 109 — 114.

„ხელნაწერის პალეოგრაფიულმა შესწავლამ ცხადჰყო, რომ გადამწერი ყოფილა ორი პირი, — სახელდობრ: სულხან-საბა ორბელიანი და მისი ძმა ზოსიმე. ამასთან დაკავშირებით გასაგები გახდა ანდერძის სიტყვები: „ამა წიგნის წერა ქვიშხეთს, ქართლს დავიწყეთ და ძვილ მოსკოვს გავათავე... თუ არ გავირჯებოდით ნუ შეგვინდობთ“. ანდერძის ავტორი გარკვევით იუწყება, რომ მან მარტომან გაათავა გადაწერა („გავათავე“), თუმცა ხელნაწერზე სხვასაც უშრომია („დავიწყეთ“... „გავირჯებოდით“...). ერთი სიტყვით ანდერძი ადასტურებს ხელნაწერის პალეოგრაფიული ანალიზის შედეგს... ხელნაწერში სულ 506 გვერდია, საბას მუშაობა წყდება 300 გვერდზე... აქა-იქ ცალკეული გვერდები საერთოდაა გადაწერილი, ზოგი სიტყვა საბას გადაუწერია, ზოგიც ზოსიმეს. სანიმუშოდ ვუჩვენებთ... ანბანის ტექსტების ზოსიმესეულ ნაწილს (აღუნიშნავი წილი საბასია): აბრეშუმი — ადონაი (გვ. 11 — 12); ავშანი — აზატი, აზოტის — აკვიატება (13 — 15); აკუთა — ალაბულა (16); ამაყი — ამელექ (18); ამპოლი — ანა-

პალეოგრაფიულ ნიშნებსა და ზოსიმეს ანდერძის თავისებურ გაგებაზე[1].

მცდარიც რომ იყოს ეს გაგება და ჩვენი ხელნაწერის გადამწერად მარტო საბას ძმა ზ ო ს ი მ ე ც რომ მივიჩნიოთ, როგორც ეს ხაზგასმით არის აღნიშნული ახლახან გამოცემულ საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის III ტომის წინასიტყვაობაში[2], ერთი რამ მაინც ცხადია, სახელდობრ ის, რომ ჩვენი გამოცემის დედანი არის პირველი ხელნაწერი, რომელიც საბას ევროპიდან დაბრუნების (1716 წ.) შემდეგ არის შესრულებული, მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომუშავე ძმის ზოსიმე ბერის მიერ. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილ მუზეუმისათვის ხსენებული ხელნაწერი 1918 წელს შემოუწირავთ და ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ საბას ლექსიკონის წინა გამომცემლებს (რ. ე რ ი ს თ ა ვ ი, ი. ყ ი ფ შ ი ძ ე და ა კ. შ ა ნ ი ძ ე) ეს ხელნაწერი ვერ გამოუყენებიათ.

აღსანიშნავია, რომ ის ხელნაწერები, რომლებიც რ. ერისთავს დაუდვია თავის გამოცემის საფუძვლად (სახელდობრ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ყოფ. მუზეუმის № 2696 და 2727) „თვთ საბას დანარჩომს ლექსიკონზე დიდის სიფრთხილით გადაწერილნი“ ყოფილან მელქისედეგ კავკასიძის მიერ სანკტ-პეტერბურღს 1758 წელს (ერთი ივნი-

---

ფორა (20 — 21); ანდრიანოპოლი — ანტიოქია (21 — 22); არჩვი — არწივაკი (27); აღელვება — აღსარება (32 — 34); ბაზმა — ბართლომე (40 — 43); ბელფეგორ — ბერილი (46); ბერტყა—ბინდი (47—48); ბოლოდ (კუდად) — ბოხი (50 — 51)“; და სხვ. (გვ. 111 — 112).

[1] ზოსიმეს ანდერძი იხ. ჩვენი გამოცემის 573 გვ.

[2] იხ. ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ი ს წინასიტყვაობიდან VI გვ. „H ფონდის ამ მეხამე ხუთასეულში გვაქვს აგრეთვე ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის ორი შესანიშნავი ნუსხა გადაწერილი საბას ძმის ზოსიმეს ხელით 1725 წ. ქვიშხეთს დაწყებული და მოსკოვს გათავებული № 1429 და 1727 წელს მოსკოვს გადაწერილი № 1035“.

იხ. ხელნაწერთა აღწერილობა. საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია) კ ო რ ნ ე ლ ი კ ე კ ე ლ ი ძ ი ს საერთო რედაქციით. ტომი III. შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ქ რ ი ს ტ ი ნ ე შ ა რ ა შ ი ძ ი ს ხელმძღვანელობითა და რედაქციით. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი, 1948 წ.



ზოსიმეს ანდერძი

(ის. გვ. 573)

სის 17-ს და მეორეც დეკემბრის 16-ს), ხოლო პროფ. ი ო ს ე ბ ყ ი ფ შ ი ძ ე ს A რედაქციის ხელნაწერებზე (საბას ლექსიკონის უკანასკნელ რედაქციის) მუშაობისას საფუძვლად მიუღია თბილისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერი № 1035, რომელიც აგრეთვე გადაწერილია სულხან-საბას ძმის ზოსიმეს მიერ მოსკოვს 1727 წელს და წარმოადგენს ჩვენი ხელნაწერის (№ 1429) პირს მცირეოდენ ცვლილებებით.

მაშასადამე, მხოლოდ ჩვენი მესამე გამოცემა წარმოგვიდგენს „თვით საბას დანარჩომს სიტყვის კონაზე" დამყარებულ ნაბეჭდ პირს, რომელიც ასახავს საბას მიერ „ფრიადითა შრომითა და რუდუნებითა" შევსებულ-შესწორებულ და საბოლოოდ დადგენილ „სიტყვის კონის" რედაქციას, გადაწერილს საბას უშუალო ხელმძღვანელობით მისი ძმისა და მოწაფის ზოსიმე ბერის მიერ საბას სიცოცხლის უკანასკნელ (1725) წელს.

როგორაა ჩვენამდის მოღწეული ჩვენი გამოცემის დედანი?

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის" ის ხელნაწერი, რომელიც საფუძვლად დაედო ჩვენს გამოცემას, ამჟამად დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში. იგი მას 1930 წელს გადმოეცა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმიდან მის გაუქმების გამო სათანადო დადგენილების საფუძველზე. ხსენებულ მუზეუმისათვის ეს ხელნაწერი შეუწირავს ნინო წულუკიძის ასულს 1918 წელს.

ხელნაწერი დიდი ტანისაა, შეიცავს 254 ფურცელს (508 გვერდს). გადაწერილია ლამაზ მხედრული ხელით ქაღალდზე და ჩასმულია მუყაოს ყდაში. ხელნაწერს ყუა მოგლეჯილი აქვს. ოდნავ დაზიანებულია. პირველ ორ ფურცლის კიდეები შემოცვეთილი აქვს და არ იკითხება. როგორც გადამწერის საბას ძმის ზოსიმეს ანდერძიდან ირკვევა ამ ხელნაწერის გადაწერა ვახტანგის რუსეთში გადასახლებამდის (1724 წ.) ქეიშხეთს დაუწყვიათ, ხოლო დასრულებულა მოსკოვს, საბას სიკვდილის წელს (1725), მისი გარდაცვალების რამდენიმე თვის შემდეგ.

როგორია ლექსიკონის რიგი?

ლექსიკონის თავში, სადაც საბას მოუთავსებია თავისი „ანდერძნამაგი“,[1] იგი სხვათა შორის გვამცნებს, რომ მას ჭაბუკობასა და ყრმობაში დიდი შრომა გაუწევია ამ წიგნის შედგენაზე, რადგან ქართულ ენაზე ლექსიკონი აღარ იპოებოდა. „ვინაიდან პატიოსანი ესე წიგნი[1] დაჰკარგოდათ, ენა ქართული თავის ნებაზედ გაერყუნათ“. ენის სიწმიდისა და მის საუნჯის დასაცავად, ჩანს, უზრუნვიათ საბას დროის წარჩინებულ ქართველთ და ამის შესახებ წერს საბა იქვე: „ვახტანგ მეფის ბიძამ, გიორგი მეფემ მიბრძანა ამისი ქელყოფა... ერთი სომხური მომცრო ლექსიკონი ვნახე... და მეც მათის ბაძით, ქელი მივყავ და, რაოდენ ძალ მედვა, აღვწერე“. საბასვე მოწმობით ირკვევა, რომ პირველი ცდები თავის „სიტყვის კონისა“ მას სომხურ ლექსიკონის ბაძით მოუცია[2]. ხოლო ევროპაში მოგზაურობის (1713—1716) შემდეგ საბა გასცნობია სხვადასხვა ენის ლექსიკონებსაც და ზოგი რამ თავის ლექსიკონის უკანასკნელ რედაქციაში იმათ ბაძით აუწერია. ასე უნდა გავიგოთ, ალბათ, „ანდერძნამაგის“ შემდეგი სიტყვები: „მე უწინარეს ლათინური და ელლენური ლექსიკონი ვერ ვნახე, თვარა უკეთესის რიგით აღვწერდი. მას უკან ვნახე და ზოგი რამ იმით გავმართე და რიცხვებიც წერილთანი თან ჩართვით დაუსხი“... ამგვარად ირკვევა, რომ სულხან-საბას „სიტყვის კონის“ რიგი ითვალისწინებს, როგორც აღმოსავლელ, ისე დასავლელ ლექსიკოლოგების გამოცდილებას და ამ გამოცდილების გამოყენებით ადგენს საბა თავის „სიტყვის კონის“ საბოლოო რედაქციას, რომელიც წარმოდგენილია

1 იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 10.

1 იგულისხმება საბაზე ადრე არსებული ქართული ლექსიკონი.

2 სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ „საბა თავისი ლექსიკონისათვის სომხურ ბარგირქს მხოლოდ აღნაგობის, ტექნიკის მხრით იყენებს მისაბაძავად“ (იხ. ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები. თბილისი. სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. III, 1938 (გვ. 253 — 270).

ჩვენი გამოცემის დედანში, სახელდობრ ზოსიმეს მიერ გადაწერილ ლექსიკონების მესამე ცალში[1].

სულხან-საბას „სიტყვის კონის“ საბოლოო (A) რედაქციის ერთი განსაკუთრებული თავისებურება ის არის, რომ ამ რედაქციაში სახელზმნასთან ერთად უხვად არის წარმოდგენილი ანბანის რიგზე გაწყობილი როგორც უპრევერბო, ისე პრევერბიან ზმნების (ა-ა, გა-ა, და-ა, შე-ა, წა-ა) პირიელი ფორმები (ააბი, ააბნიე, ააბრუნე; გააბა, გააბედვინა, გააბილწა; დააბა, დააბალითა, დააბარა; შეება, შეევაჭრა, შეერაცხა; წააბრუნვა, წაავო, წაადევნა და სხვ.), რაც არ იცის წინა რედაქციებმა, რომლებიც ევროპაში მოგზაურობამდის შეუსრულებია.

ჩვენ გვგონია, რომ ამ რედაქციის ეს განსაკუთრებული თავისებურება, ზმნების პირიელ ფორმების შეტანა ლექსიკონში, არის შედეგი „ლათინური და ელლენური ლექსიკონების“ ნახვისა და „ქართული სიტყვის კონის“ „მათი ბაძით“ გამართვისა. ცნობილია, რომ ბერძნულ—ლათინურ ლექსიკონებში ზმნები აწმყოს პირველ პირით აინუსხებიან. საბას „სიტყვის კონაში“ ამ მიმბაძველობას განსაკუთრებით უჩენია თავი ასო ვინზე, სადაც ზმნები წარმოდგენილია როგორც აწმყოს, ისე წყვეტილის პირველ პირში, მაგალითად: ვრუდუნებ, ვრუდუნებდი; ვსაგრობ, ვსაგრობდი; ვსადგურებ, ვსადგურებდი; ვსაზრავ, ვსაზრავდი; ვსაზღვრავ, ვსაზღვრევდი; ვსაქმობ. ვსაქმობდი და მრავალი სხვა. ყურადღებას იქცევს საბას შენიშვნა ვინის ბოლოს: „ყოველთა სიტყუათა ზედა **ვინი** ესრეთ **თავად მოვალს**, რომელიც მოვზაოს“, რაც გულისხმობს. რომ კიდევ მრავალი ზმნა შეიძლება ასე, ვინის თავში დართვით, ვაწარმოვოთო. საყურადღებოა, რომ ამასვე შენიშნავს ვინის შესახებ საბა თავის „სიტყვის კონის“ თავში, სადაც „ყრმათათვს სასწავლო პირველ ანბანთან“ ერთად მოცემულია ქართული გრამატიკის (ფონეტიკურ-მორფოლოგიური) ელემენტები: „განი, ვინი, უნი... თავად არის და არა ბოლოდ (ვლამი, ვიქ, ვამტკიცებ)“.

---

[1] სულ ზოსიმეს ქართულ ლექსიკონის 4 ცალი გადაუწერია: H 95, 1035, 1429 და ჩემი კოლექციიდან საქ. სახ. მუზეუმისადმი დათმობილი ხელნაწერი Q 400.

მაშასადამე, საბა არ კმაყოფილდება იმით, რომ ზმნის გამოსავალ ფორმად ლექსიკონში, მათ ანბანზე გაწყობისას, მიუღია საწყისი. მაგალითად: ატანა, ბზინვა, გაჭრა, დგომა, ვრდომა, ვსება, ზრდა, კერვა, ლახვა მართება, მღერა, ნდომა, ნდომა, ოლვა, პარვა, პარსვა, ჟვჟა, ჟონვა, რბევა, რკვევა, სთვა. სრბოლა, სტვენა, ტუქსვა, ტყორცა, ფლვა, ფრინვა, ქადება, ღებვა, ყოფნა, შენახვა, ჩაცმა, ცურვა, ძლევა, ძოლა, ძოუანვა, წერა, ჭამა, ჭენება, ხარჯვა, ხედვა, ხევა, ხვედრება, ჴმობა, ჴოცა, ჯდომა და მრავალი სხვა. ამის გვერდით, მას თავის „სიტყვის კონაში“ მრავლად შეუტანია ზმნების პირიელი ფორმებიც მაგალითად:

ჭამა — ზმნიდან გამომდინარე: აჭამა, ეჭამა, ვაჭამე, ვჭამ, იჭმება;

წერა-დან გამომდინარე: აწერა, აღწერა, ეწერა, ვწერ:

ძლევა-დან გამომდინარე: აძლევდა, აძლევს, ვაძლევინე, ვაძლივე, მაძლია, მაძლევდა, მაძლევინა;

ჯდომა—ზმნიდან გამომდინარე: ჯდა. იჯდა, ჯდების, დაჯდების და ასე მრავალი სხვა. ზმნების ამ წესით სალექსიკონო ერთეულებად გამოყოფა და ანბანის რიგზე თავთავის ალაგას შეტანა საგრძნობლად ზრდის „სიტყვის კონის“ ზმნურ ერთეულებს. ახლა თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ქართული ზმნები თავიანთ ფორმებს უმთავრესად პრეფიქსებით აწარმოებენ, გასაგები გახდება, რომ საბას „სიტყვის კონაში“ ეს ფომრები ერთმანეთისაგან გათიშულნი არიან მათი ანბანური დალაგების გამო. ასე მაგალითად: ვესავ—ვინზეა, გესავ—განზე, ესავს—ენზე, ჭამა—ჭარზე, აჭამა—ანზე, ეჭამა—ენზე, ვაჭამე და ვჭამ—ვინზე, იჭმება—ინზე და ასე შემდგომ.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ რედაქციის ზემოაღნიშნული თავისებურება: პრევერბიან (ა-ა, გა-ა, და-ა, შე-ა, წა-ა) ფორმების ჩვენება კიდევ უფრო ზრდის ზმნურ ერთეულებს ასო ანზე, განზე, დონზე, შინზე და წილზე. „სიტყვის კონის“ ავტორი კარგად გრძნობს ამ თავისებურებით გამოწვეულ მისი შრომის გაზრდას, ამიტომ არის, რომ იგი ყოველთვის თვითეულ პრევერბზე ასეთ ზმნურ ერთეულების საკმაო რაოდენობით მოყვანის შემდეგ შენიშნავს ხოლმე:

ანზე: ესე ორნი ანნი მრავალზედ მოვალს რაზედაც, მაგ-რამ აქ სიგრძისათვის მცირე დავწერე;

განზე: ესრე მოვალს განის თავს ოროლი ანი ყოვლისა სა-ხელსა და სიტყვასა ზედა. აქა ესე ვაკმაე;

დონზე: ესრე ყოველთა სიტყვათა ზედა მოვალს. აქა მოკ-ლედ დავსწერე სიმრავლის გამო.

გეოგრაფიული სახელები „სიტყვის კონაში“

მეორე თავისებურება, რომელიც ახასიათებს საბას „სიტ-ყვის კონის“ უკანასკნელ რედაქციას, — არის გეოგრაფიულ სახელების შეტანა სათანადო განედისა და გრძედის აღნიშ-ვნით. ამ თავისებურების შესახებ საბა „სიტყვის კონის“ შესავლის ბოლოს შემდეგს შენიშნავს: „სადა ესე ჯდეს /40.50/ /5.20/ ქვეყნის ზომათა რიცხვა. პირველი — ხარისხი სიმაღლისა და მეორე წამის რიცხვ. ორს ხაზს უკან—სივრცის ხარისხის რიცხვ—და მეორე—წამის რიცხვ“. [1]

ევროპაში მოგზაურობამდე გადაწერილ „სიტყვის კონის“ ნუსხებში ეს გეოგრაფიული სახელები არა გვხვდება. სამწუ-ხაროდ, ამ ნაწილის საბოლოო დამუშავება საბას ვერ მოუს-წვრია, შეიძლება სათანადო რუკების უქონლობისა გამო, და მრავალი გეოგრაფიული სახელი სიმაღლისა თუ სივრცის ხა-რისხის ან წამის რიცხვის აღუნიშვნელი დარჩენია, ზოგან კი სრულიად ურიცხვო პარალელური ხაზები და გვხვდება; ასე მაგალითად: კალიკუთ (ინდოეთისა), ყარნუ ქალაქი, კონს-ტანტინეპოლი, რავენა, სეგოვია, სივილია, ქაშანი, ყაზმინი, შამი, შამახია, შირვანი, ძეილონ (კუნძული ინდოეთისა) და სხვა.

საბას „სიტყვის კონის“ დამახასიათებელი სხვა თავისებუ-რებანი ადრინდელ რედაქციებშივე შეინიშნება.

ამათაგან საყურადღებოა შემდეგნი:

განყოფილებათა შემოკრებულად დაწერა

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ საბას მიერ „სიტყვის კონაში“ გატარებულ წესის თანახმად, ამათუიმ გვარის ზოგად

---

[1] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 15.

სახელთან იგი თავს უყრის, შემოკრებით და სათანადო ახსნა-განმარტებით წარმოგვიდგენს ამათუიმ ზოგად სახელის სხვადასხვა სახეობას, ანუ „განყოფილებას“, როგორც ამას საბა უწოდებს. ავიღოთ მაგალითისათვის სიტყვა: ჭურჭელი. საბას განმარტებით: „ზოგადი სახელი არის ყოველთა ჭურჭელთა; ხოლო ესე ჭურჭელნი განიყოფებიან ათოთხმეტად“. შემდეგ იგი ჩამოთვლის ამ თოთხმეტ „განყოფილებას“: იარაღი, გვადრაკი, ლანკანი, ჯამი, სალვნე, წედა, სარწყული, ვაშკარანი, ზარდახშა, ფუკა, სფირიდი, ჭური, საწყავი და შარაგული. ამას მოსდევს თვითეულ „განყოფილების“ განმარტება მასში შემავალ საგანთა დასახელებით. შეინიშნება, რომ „სიტყვის კონაში“ ეს „განყოფილებანი“ ყველა თავთავის ადგილასაც (დასაწყის ასოს მიხედვით) გვხვდება, და ზოგი მათგანი თუ განმარტებისათვის ზოგად სახელზე (ამ შემთხვევაში ჭურჭელზე) მიუთითებს, ზოგს კი იქვე მიწერილი აქვს საკმაოდ ვრცელი განმარტება. ასე მაგალითად ჭურჭლის „განყოფილებათაგან“ მითითებით (განუმარტავად) თავთავის ადგილას შეტანილია: ჯამი, სალვნე, სარწყული, სფირიდი; ხოლო დანარჩენებს სათანადო განმარტება მოეპოვებათ და ზოგი მათგანი ვრცელი „ქვეგანყოფილებებითაც“ არის წარმოდგენილი, მაგ.: საწყავი — სადაც დიდმცირობით წარმოდგენილია თხუთმეტამდე საწყავის სახელი.

ასეთი ზოგადი სახელები „განყოფილებებით შემოკრებილად დაწერილი“ საბას თავის „სიტყვის კონაში“ მრავლად მოეპოვება. ჩვენ აქ დავასახელებთ ანბანის რიგზე მხოლოდ მეტად მნიშვნელოვანთ: აპოხტი, აყრა, აღსავალი, ბადე, გიჟი, განკვეთილება (გაკვეჩასთან), გულისწყრომა, დანა, დარგი, დარაჯა, დაღმართი, დაბა, ერქვანი, ზროხა, ზოდიაქო, ზღუდე, თამაშობა, თმა, თოვლი, თხა, კაცი, კლდე, კუდი, ლამაზი, ლახუარი, მართვი, მახე, მენავე, მზერა, მთხრებლი, მჟავე; მყიფე, მცნება, მწიკვლი, მწუხარება, ნათესავი, ნისლი, პირაღმართი, რბევა, რუხა, საბელი, საგრძნობელი, საპყრობილო, სასრევი, საშუალო, საწყავი, საკმილი, სიმყრალე, სიცივე, სიცხე, სკორე, სულისკუეთა, ტირილი, ტყუ-

ვილი, უმეცრება, უმცროსი, ურემი, ფრთე, ფრთხილი, ფშვინვა, ღაღადება, ღვნო, ყინული, შარავი, შიქრიკი, შური, ჩბუნვა, ჩუქება, ცა, ცეცხლი, ცხედარი, ცხენი, ცხიმი, ცთომილნი, ცხოვარი, ძაფი, ძაღლი, ძრწოლა, წდოლა, წერაქვი, წვიმა, წვენი, წვივსაცმელი, წინამძღუარი, წმიდა, წყარო, ჭანგი, ჭილი, ჭურჭელი, ხანი, ხიჩატელი, კიდი, კურაობა, ჯავშანი, ჯაჭვი, ჯოგი, ჯოხი.

ზოგჯერ ეს „შემოკრებილობა" საბას ისე გაზრდია, რომ მათ ერთად დაწერაზე უარი უთქვამს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს კ მ ი ა ნ ო ბ ი ს შენიშვნა: „კმიანობის განყოფილებათა შემოკრებულად დაწერა აქ მენება. დია მრავალია. სიგრძისათვის არ დავწერე".

ასევე ერთად უყრის თავს საბა **წონა-ზომის ერთეულებს** და მათ სახესხვაობას. ასეთია მის „სიტყვის კონაში": თთვე, კოდი, კოკა, კვრა, ლიტრა, წამი და სხვა,

გრამატიკული „შემოკრებულება"

ზოგად სახელებთან მათ „განყოფილებათა შემოკრებულად" დაწერასთან ერთად, საბას უცდია ერთგვარი გრამატიკული შემოკრებულებანიც, ე. ი. გრამატიკულად ახლო მდგომ ნაწარმოებ სიტყვების მათ ძირითად სიტყვის „ბუდეში" შემოკრებულად დაწერა სათანადო ახსნა-განმარტებით. სამწუხაროდ ეს გრამატიკული შემოკრებულებანი უფრო სუსტად და უფრო ნაკლები თანამიმდევრობით არის გატარებული. ამისდა მიუხედავად მაინც ხერხდება მთელ „სიტყვის კონის" მანძილზე ასეთ „შემოკრებულებათა" გარკვეულ სახეობათა გამოყოფა. აი ზოგი მათგანი:

ა. ზოგჯერ მარტივ საწყისთან განუმარტებლად თავმოყრილია მისი პრევერბიანი (ზმნისწინიანი) ფორმები. ასე მაგალითად:

ბმა—დაბმა—მობმა—გამობმა—ჩამობმა—შემობმა;

ვრდომა—მივრდომა—გავრდომა—შევრდომა;

ვსება—ავსება—გავსება—შევსება;

ლაკვა—გალაკვა—მილაკვა—მოლაკვა;

მატება—მომატება—ალმატება—გამომატება;

ნდობა—მინდობა—მონდობა—განდობა;
რტყმა—დარტყმა—შერტყმა;
შლა—მოშლა—დაშლა—გაშლა;
ცლა—მოცლა—დაცლა;
ძლოლა—გაძლოლა—მოძლოლა;
ძღუანვა—მიძღუანა—გაძღუანება—მოძღუანება;
ჭიმა—გაჭიმა—აჭიმა;
ჭირვა—დაჭირვა—მოჭირვა;
ჭკნობა—დაჭკნობა—შეჭკნობა;
ხევა—გახევა—დახევა;
ხვედრება—მიხვედრება—მოხვედრება;
ხრუსტვა—შეხრუსტვა—მოხრუსტვა;
კდენა—მოკდენა—წაკდენა;
კმობა—გაკმობა—შეკმობა:
კოცა—მოკოცა—წაკოცა;

ბ. ზოგჯერ მარტივ საწყისთან „მცირე ბუდეში" მოქცეულ პრევერბიან ფორმებს სათანადო ახსნა-განმარტებაც მოეპოვებათ;

ასე, მაგალითად: სიტყვა **სხლეტა**-ზე ცალკ-ცალკეა განმარტებული მასთან შემოკრებილი სიტყვები: **დასხლეტა, ასხლეტა, მოსხლეტა.**

გ. ზოგჯერ ასეთი პრევერბიანი ფორმები ახლავს აწმყოს პირველსა ან მესამე პირში მოცემულ ზმნას, მაგალითად:
ვცემ—მივცემ—გავსცემ—წავსცემ:
კდის—აჭკდის—გაჭკდის—მოჭკდის.

დ. არის შემთხვევები, როცა პრევერბიანი მიმღეობანი თავმოყრილია მარტივ მიმღეობასთან ყოველგვარ განმარტების გარეშე. ასე მაგალითად:
შლილი—მოშლილი—დაშლილი—წაშლილი;
ცლილი—მოცლილი—დაცლილი;
კოცილი—დანაკოცი—მონაკოცი.

ე. ზოგჯერ მიმღეობასთან შემოკრებილი სიტყვები (წარმოებით მასთან ახლო მდგომი) სათანადო ახსნა-განმარტებასაც დაირთავს. ასე მაგალითად: სიტყვა **მბრძოლთან** თავმოყრილი სიტყვები: მ ე ბ რ ძ ო ლ ი, მ ბ რ ძ ო-

ლელი, უბრძოლელი, უბრძოლი, უუბრძოლესი, საბრძოლი და საბრძოლელი ყველა თავის შესაბამის განმარტებას დაირთავს.

ვ. იშვიათად, მაგრამ მაინც, აქა-იქ გვხვდება შერეული „შემოკრებილება":

ა. პირველ ფორმასთან გვხვდება მის საწყისის განმარტება; იხ. მაგალითად სიტყვა **მოიბა,** რომელსაც მისდევს **მობმა-ს** განმარტება;

ბ. სახელის განმარტებას მისდევს პრევერბიანი საწყისის განმარტება, ასე მაგალითად: **ულუნი**-ს განმარტებას ერთვის **მოულუნვა-ს** განმარტება.

ამ „შემოკრებულებათა" იშვიათი სახეები მეტად მცირეა „სიტყვის კონაში", მაგრამ ეს მაგალითებიც აშკარად მიგვითითებენ იმ დიდს ყურადღებასა და დაკვირვებაზე, რომლითაც ეპყრობოდა საბა ქართულ ზმნას, მის სალექსიკონო ერთეულების შერჩევისას.

სიტყვათა წარმომავლობის ჩვენება.

საბას „სიტყვის კონა" ჩვენს განცვიფრებას იწვევს განსაკუთრებით სიტყვათა წარმომავლობის ჩვენების ცდით. საბას დროისათვის ქართული ლექსიკონის ეს თავისებურება—ეტიმოლოგიური ამოცანების დასახვა, — სიტყვებისათვის ეტიმოლოგიური ცნობების დართვა, აშკარად მიგვითითებს ქართველთა დიდ ინტერესზე თავიანთ ენის საუნჯისადმი.

საბას დროის ქართველობამ, ირკვევა, უკვე კარგად იცის, რომ ქართულ ენას სხვა ეროვნებებთან მრავალსაუკუნოვან ურთიერთობის მიმდინარეობაში შეთვისებული აქვს უცხო წარმოშობის ზოგიერთი სიტყვა, რომელთა აღნუსხვა დიდ ქართველ ლექსიკოგრაფს თავის ერთერთ მიზნად დაუსახავს. ასეთი მიზნის დამსახველი და ნაწილობრივ (იმ დროისათვის) ბრწყინვალედ გადამჭრელი სულხან-საბა, რასაკვირველია, სრულიად გაუწვრთნელი არ იქნებოდა უცხო ენათა ლექსიკონების მოხმარებაში, კიდევაც რომ დავიჯეროთ მისი თავმდაბლური ორგზისი განცხადება: მე სხვა ენა არ ვიცოდი ქართულის მეტიო. „სიტყვის კონისადმი" წარმძღვანებულ

„ანდერძნამაგში" საბას მიერ დასახელებულ: ელლენთა, ლათინთა, სომეხთა, რუსთა და არაბთა (აგრეთვე ზოგიერთ ხელნაწერებით დამატებულ: იტალიათა და სპანიათა) წიგნებს (უნდა ვიფიქროთ—ლექსიკონებს) უეჭველია საბა გამოიყენებდა ამათუიმ სიტყვის წარმომავლობის გასარკვევადაც. მარტოოდენ ჩამოთვლა იმ ენებისა, რომელთაგანაც მიაჩნია საბას ესათუის სიტყვა შემოსულად საკმარისია იმის გასათვალისწინებლად, თუ რომელ ეროვნებებთან ჰქონდა ქართველობას მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა უხსოვარ დროიდან დაწყებული—მე-18 საუკუნის დასაწყისამდე: ქალდეური, ინდური, ძველი სპარსული, ფალაური, ასურული, ებრაული, ბერძნული, ლათინური, არაბული, სპარსული, სომხური, თურქული, ხაზარული, ფრანგული და სხვ. აი ის ენები, რომელთაც მრავალსაუკუნოვან ურთიერთობის ნიადაგზე შესძინეს ესათუის სიტყვა ქართული ენის საუნჯეს ისევე, როგორც ზოგი რამ თვითონაც ისესხეს ამ საუნჯიდან.

საყურადღებოა, რომ, როგორც ყოველთვის, და აქ კი განსაკუთრებით, საბა სიტყვათა წარმომავლობის ჩვენებისას დიდ სიფრთხილეს იჩენს. ასე უნდა გავიგოთ მრავალშემთხვევაში მის მიერ მომარჯვებული შენიშვნები:

ა. **სხვათა ენაა, იხ.** მაგალითად სიტყვები: აბანოზი, ამასალა, აქიმი, ბაბრი, ბალღამი, ბარათი, ბარდანი, ბურჯი, გზირი, გირაო, დალალი, დურბინი, დუშაყი, ვაზნა, ვარაყი, ზავთი, ზანდუკი, ზილფი, ზუმბა, ზურნა, თავაზა, თალათინი, თამბაქო, თარეში, თივთიკი, თოხლი, თუთი, იასაული, კარურა, კოლაუზი, კუტი, ლაქი, ლილიფარი, მავი, მაიმუნი, მანდარი, მარაზი, მასხარა, მაფრაშა, მაშრაპა, მაჯუნი, მეიდანი, მერამლე, მილი, მურდასანგი, მუქარა, ნავროზი, ნაზირი, ნალი, ნამი, ნაფირი, ნაღარა, რეჰანი, საყანყური, სახასო, სევდა, სიასამური, სირმა, სიჯიმი, სუმბული, სურმა, ტარხუნა, ურდო, ფარმანი, ფარსანგი, ფაფუქი, ფელღამი, ფოლადი, ქანი, ქარავანი, ქარასტა. ქარგა, ქარვასლა, ქაფი, ქაფქირი, ქილა, ქირა, ქოსა, ქოსი, ქულბაქი, ყაჯირი, ჩინი, ხამხამი, ხონჩა, ხოჯა, ჯავარი, ჯაშუში, ჯერანი, ჯომარდი;

ბ. **სხვათა ენათაგან შემოღებულა:**

იხ. მაგალითად სიტყვები: ნაზუქი, ულუფა;

გ. **სხვათა ენა მგონია:**

იხ. სიტყვა დასტაბანი;

დ. **ქართული არ არის:**

იხ. სიტყვები: ამაყი, ბუასილი, დიბა, ზუაპლი, კისა, მუხუდო, საბრი;

ე. **ქართულს არა ჰგავს:**

იხ. სიტყვა: გუფთა.

ვ. **სომხური მგონია:**

იხ. სიტყვა: პაჰაკი.

აღსანიშნავია, რომ ასეთ შენიშვნებს საბა მაშინ მიმართავს, როდესაც მან ბევრი ილონა, მაგრამ „საზომს ვერ მისწვდა“. ზედმიწევნით ვერ გაარკვია, თუ სახელდობრ რომელ ენიდან უნდა იყოს შემოღებული ესათუის სიტყვა.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ საბას მიერ ამათუიმ სიტყვისადმი დართული ცნობები, რომლებიც მიგვითითებენ მათ ხმარებულებაზე ქართველურ ენებსა თუ დიალექტებში:

ოჯიჯი—ბადე მეგრულად;

მარა—მაგრამ იმერულად;

დაკავებას უხმობენ გურიელნი დაჭერას;

მენასა კაზნი ტაგარსა უწოდენ და სხვ.

ცოცხალ მეტყველებიდან შემოსულ სიტყვებისათვის საბას რამდენიმე გამოთქმა აქვს მიღებული. ყველაზე ხშირად იგი ხმარობს: გლეხურად, ან მსოფლიონი უწოდენ; ხმარობს აგრეთვე: სოფლური სიტყვით, მსოფლიოთა ენითა, სოფლურად, გლეხნი უწოდენ. ნახეთ სიტყვები: ვკარგავ, იარაღი, კუდური, კუმპა (საპონთან), ლომბიერი, მათე, მეტიჩარა, მუსუსი, ტაბუხი, ხოხმიკი, ფელიკი, ღრუდო, ბუდე (ჩალათასთან), ლოლობქარი და სხვ.

უცხო წარმომავლობის საკუთარი სახელები

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საბას „სიტყვის კონაში“ შეუტანია უცხო წარმომავლობის (ებრაული, ქალდეური და ბერძნული) „კაცთა სახელი, ანუ ქვეყანათა და სოფელთა“. გარჩევის მიზნით ეს საკუთარი სახელები საბას საგანგებო ნიშ-

ნით (ი ჩიტრისთვალით) აღუნიშნავს და „რათაცა გამოითარგმნების, თანვე უწერია“. აღნიშნული ნაწილი ყურადღებას იქცევს იმ მხრივაც, რომ აქ საბას მიერ გამოყენებული ჩანს ისეთი სპეციალური „თარგმანებითი ლექსიკონები“, როგორიცაა მაგალითად კირილე ალექსანდრიელის (გარდ. 444) ლექსიკონი ოთხთავის საკუთარ სახელებისა და სხვ. (იხ. საქ. სახ. მუზ. ხელნ. A 65 გვ. 340—349. ხელნაწერი 1210 წელს არის გადაწერილი).

„სიტყვის კონის“ სომხურ-თურქულ-იტალიური ნაწილი

სულხან-საბას ქართული განმარტებითი ლექსიკონის ეს ნაწილი უკვე მთლიანად სცილდება მის (განმარტებითი ლექსიკონის) ფარგალს და თარგმნითი ლექსიკონების სახეობაში გადადის. შეიძლება თავისებურად მართალიც იყო საბას ლექსიკონის პირველი რედაქტორი, ცნობილი მწერალი. რაფიელ ერისთავი. (1824—1901) რომელსაც ლექსიკონის წინასიტყვაობაში ამ ნაწილის შესახებ შენიშნავს:

„მე შევკრიბე რამოდენიმე ლექსიკონები საბა-სულხან ორბელიანისა, შევუთანხმე ერთმანეთს და ამრიგად შევავსე. მხოლოდ სადაც ალაგალაგ მოწერილი იყო სომხური და თათრული თარგმანი (ქართული ასოებით) ისინი აღარ შემოვიტანე დასაბეჭდათ, რადგან ამ ლექსიკონის დანიშნულება არის ახსნა და განმარტება ქართულისავე გაუგებარი სიტყვებისა და იმისათვის კი არ გაუწევია შრომა საბა-სულხან ორბელიანს, რომ ჰქონოდა აზრათ თარგმნა ქართულის სიტყვებისა სხვა ენებზედაც“.[1]

ასეა თუ ისე, პირველმა რედაქტორმა „სიტყვის კონის“ ეს ნაწილი თავისებურ მოსაზრებით არ გამოაქვეყნა.

გამოუქვეყნებელი დარჩათ „სიტყვის კონის“ ზოგიერთ სიტყვების სომხურ-თურქულ-იტალიური შესატყვისები ლექსიკონის მეორე გამოცემის რედაქტორებსაც: პროფ. იოსებ ყიფშიძესა და პროფ. აკაკი შანიძეს, თუმცა მათ კარგად ჰქონდათ შეგნებული ამ ნაწილის დიდი მნიშვნელობა.

[1] იხ. დასახელებულ შრომის XV გვ.

მეორე გამოცემის თანარედაქტორი პროფ. ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე გამოცემისადმი წარმძღვანებულ წინასიტყვაობაში ლექსიკონის უცხო ენებზე თარგმანების შესახებ შემდეგს წერს:

„ი. ყიფშიძეს გადმოწერილი ჰქონდა ხელნაწერებიდან უცხო ენებზე ნათარგმნი ადგილებიც და, როგორც (ა—ალაოს-ს) საკორექტურო ფურცლებიდან ჩანს, დაბეჭდვასაც აპირებდა. როდესაც მე მასალებს ახლო გავეცანი, შეუძლებლად მივიჩნიე უცხო ენების თარგმანის დაბეჭდვა იმ სახით, როგორც ეს წარმოდგენილი იყო. მიზეზი ის გახლავს, რომ სულხან-საბას ავტოგრაფი ლექსიკონი ჩვენამდე თითქო არ არის მოღწეული, გადამწერლებმა კი ჩვეულებრივ ან სრულებით არ იცოდნენ უცხო ენები, ან არა და სუსტად, ყოველ შემთხვევაში სამივე (სომხური, თურქული, იტალიური) მაინც არა. ამიტომ ლექსიკონის გადაწერისას ყველაზე მეტი შეცდომები სწორედ აქ მოსდიოდათ. ეს შეცდომები თანდათან მრავლდებოდა ერთი ხელნაწერიდან მეორის გადაწერის დროს... ხელნაწერთა ასეთი მდგომარეობის გამო საჭიროა მათი კარგად შეწამება და შეჯერება კიდევ ერთხელ, რომ გადამწერლის შეცდომა ავტორს არ მივაწეროთ. ასეთი გაცხრილვა თარგმნილი ადგილებისა მით უფრო საჭიროა, რომ ამ ნაწილს დიდი მნიშვნელობა აქვს უპირველეს ყოვლისა ქართულ სიტყვების მნიშვნელობათა დადგენისათვის“ [1].

რაკი ჩვენ საბას ლექსიკონის მესამე გამოცემისათვის ავტოგრაფული მნიშვნელობის ხელნაწერი გამოვიყენეთ, რითაც ნაწილობრივ აცილებული იქნა გადამწერთა მეშვეობით ამ ნაწილის გამრავლებული შეცდომები, და ამასთან, ვითვალისწინებდით რა „სიტყვის კონის“ სომხურ-თურქულ-იტალიური ნაწილის დიდს მნიშვნელობას არა მარტო ქართულ, არამედ სომხურ-თურქულ-იტალიურ ენათა ისტორიისათვის, საჭიროდ მივიჩნიეთ მათი გამოქვეყნება იმ სახით, როგორც ეს წარმოდგენილია ჩვენს ხელნაწერში.

ვინაიდან, ტექნიკურ მიზეზებისა გამო, ლექსიკონში უცხო ენათა შესატყვისების დაბეჭდვა დედნისებურ სახით ვერ მო-

---

[1] იხ. დასახელებულ შრომის გვ. XVI — XVII გვ.

ხერხდა, და ეს შესატყვისები ქართულ განმარტებათა გასწვრივ გვერდის თავისუფალ ნახევარ არეებზე ვერ დავბეჭდეთ, როგორც ეს ასახულია სანიმუშოდ აღებულ ჩვენი ხელნაწერის ერთი გვერდის $\left(\frac{\text{რლე}}{135}\right)$[1] ფოტო პირზე, — ბეჭდვის ასეთი წესი ბევრ ქაღალდს მოითხოვდა, — ამიტომ ჩვენ უცხო ენათა (სომხურ-თურქულ-იტალიური) შესატყვისები ცალკ-ცალკე გამოვყავით შესაფერ ქართულ სიტყვებითურთ, რომელთა თარგმანსაც ისინი წარმოადგენდნენ და ლექსიკონის ბოლოს დავურთეთ:

1. „სიტყვის კონის" ქართულ-სომხური ნაწილი (გვ. 490—516).

2. „სიტყვის კონის" ქართულ-თურქული ნაწილი (გვ. 517—545).

3. „სიტყვის კონის" ქართულ-იტალიური ნაწილი (გვ. 547—569).

ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ პირველი ორი დამყარებულია ჩვენი გამოცემის დედანზე (H 1429), ხოლო ქართულ-იტალიური ნაწილი გადმოვიღეთ იმ ხელნაწერიდან (H 1658), რომელიც თვით საბას ხელით არის დაწერილი კონსტანტინეპოლს 1715 წლის აგვისტოს 10-დან 1716 წლის იანვრის 20-დის, როცა იგი „ფრანცისის დესპანთან იდგა ხელის შეწყობითა".

ჩვენ გვგონია, რომ საბას ლექსიკონის ეს ნაწილი სადაც ქართული ასოებით არის გადმოცემული როგორც სომხური, ისე თურქული და იტალიური შესატყვისი სიტყვები, სათანადო ყურადღებას მიიქცევს ამ ენათა მკვლევრებისას. როგორც ჩვენში, ისე ჩვენს მოძმე (სომხეთისა და აზერბაიჯანის) რესპუბლიკებში.

„სიტყვის კონის" ეს ნაწილი აშკარად ლაღადებს მე-17—18-ე საუკუნეთა განათლებულ ქართველების იმ დიდ ინტერესზე, რომელსაც იჩენდნენ ისინი მეზობელ ერების ენებისადმი. მათთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა, როგორც ჩანს, წარმოშობდა მოთხოვნილებას ერთგვარ სახელდახელო, მცი-

[1] ხელნაწერში გვერდები მხოლოდ ქართულ ასოებით არის აღნიშნული. ქვეშ არაბული მე მივუწერე.

რე მოცულობის ლექსიკონისას. ეს გარემოება გაუთვალისწინებია ჩვენს დიდს ლექსიკოგრაფს და პირველი ცდა ქართულ-სომხურ, ქართულ-თურქულ და ქართულ-იტალიურ მცირე ლექსიკონებისა თავის ქართულს განმარტებითს ლექსიკონშივე მოუცია[1].

მაგრამ, მარტო ზემოხსენებულით არ განისაზღვრება ამ ნაწილის მნიშვნელობა. ამ ნაწილს მნიშვნელობა აქვს თვით ქართულ განმარტებითს ლექსიკონისათვის და აი რა მხრივ. საბას ლექსიკონის მომხმარებლები შენიშნავდნენ, ალბათ, რომ ამათუიმ ასოზე ზოგიერთი სიტყვა სრულებით აუხსნელად არის დატოვებული. საბოლოო ჯამში ამ სიტყვათა რაოდენობა არც თუ ისე მცირეა. იგი 400 აღემატება. თანაც უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ აქ სათვალავში არ ვიღებთ ხეების, ბალახების, ფრინველების, თევზების, ოთხფეხთა, მწერთა და მძრომთა სახელებს, რომელთა უმრავლესობა საბას აგრეთვე აუხსნელად აქვს დატოვებული, თუმცა მათი სათანადო გამასხვავებელ ნიშნებით აღნიშვნა, რაც საბას აქვს მიღებული და რაც ჩვენც გავატარეთ წინამდებარე გამოცემაში, ერთგვარად მაინც მიგვითითებს მათ ზოგად განმარტებაზე.

ახლა ირკვევა, რომ ამ სიტყვათა უმრავლესობას, რომელსაც ქართულ ნაწილში სათანადო ახსნა-განმარტება არ მოეპოვება და მხოლოდ წყაროებზე აქვს მითითება, თუ საიდან არის იგი ამოღებული, სათანადო შესატყვისი აქვს მიწერილი უცხო (სომხურ-თურქულ-იტალიურ) თარგმანებში.

ხშირად უცხო თარგმანი ზედმიწევნით განგვიმარტავს ქართულ ნაწილში აუხსნელად დატოვებულ ამა თუ იმ სიტყვას, რასაკვირველია, თუ ეს მისი უცხო შესატყვისი ერთერთ (სომხურ-თურქულ-იტალიურ) ენაზე მაინც გვესმის.

აღნიშნული გარემოებაც აშკარად მიგვითითებდა ამ უცხო ნაწილის დაბეჭდვის აუცილებლობაზე, თუმცა მათ შესწავ-

---

[1] ქართულ-სომხური ნაწილი 1847 სიტყვას შეიცავს, ქართულ-თურქული ნაწილი 1945 სიტყვას, ხოლო ქართულ-იტალიური — 1486 სიტყვას. ამ ნაწილის შემცველ ხელნაწერს (Q 1658) თავში რამდენიმე ფურცელი აკლია.

ლის დროს[1] ირკვევოდა, რომ შეიძლება ყველაფერი აქ წეს-რიგზე არ იყოს. მაგრამ ამის საბოლოოდ დადგენა შემდგომი კვლევა-ძიების საქმედ მივიჩნიეთ და არ მოვერიდეთ, რომ საბას ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობა ქართველ მკითხველისათვის იმ სახით წარმოგვედგინა, რა სახითაც დიდმა ლექსიკოგრაფმა დაგვიტოვა.

წყაროთა გამოყენება და დამოწმება

„სიტყვის კონის" ანდერძით შემონახული ცნობა, რომ საბამ ეს წიგნი „ფრიადითა შრომითა და რუდუნებითა"... „ოცდაათს წელიწადს ძვილ შეაწყო განმარტებით"... გადაჭარბებულად არ მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ მის მიერ გამოყენებულ და დამოწმებულ წყაროთა მრავალსახეობას და დავუკვირდებით საბას მუშაობის მეცნიერულ მეთოდს, რომელიც დღესაც შეიძლება მისაბაძად ჩაითვალოს თანამედროვე ლექსიკოლოგებისათვის. გამოყენებულ წყაროთა შესახებ საბა „სიტყვის კონისადმი" წარმძღვანებულ თავის „ანდერძნამაგში" მოკლედ გვამცნებს: „რომელიცა წერილთა შინა ვნახე, გამოვიღე: საღმრთო წერილთა და ღვთისმეტყველებათა შინა, რომელიმე ღრმათა ფილოსოფოსთა წიგნებთაგან და ღ̃თისმეტყველებათა კავშირთა პროკლეს პლატონურითა დიადოხოსთა, არისტოტელისა და პორფირის კატეგორიათაგან გამოვიღე, ნემესიოს და იოანე დამასკელის პლატონური სიტყვის საქცევები აღვწერე, რომელიმე არა მათებრ ღულარჭნილად, არამედ მათვე წმიდათა მამათაგან საადვილო ვპოვე და საადვილონი აღვწერე, რათა ისწავლონ ენა ქართული"[1]. ასევე მოკლედ გვაუწყებს საბა თავის მუშაობის მეთოდის შესახებ იმავე „ანდერძნამაგში": „რომელნიცა ვიცოდი, დავწერე და რომელნიცა ძნელნი სიტყვანი არა ვიცოდი, ღრმათა წიგნებთა შინა ვიძიე. და რომელიმე სხვათა ენათა შევამოწმე

---

[1] სომხურ-თურქულ ნაწილის შესწავლისას კონსულტაციას მიწევდნენ დოც. ი. ვ. შ ი ლ ა კ ა ძ ე (სომხურში) და დოც. ს. ჯ ი ქ ი ა (თურქულში), რისთვისაც ორივეს გულითად მადლობას ვუძღვნი.

[1] იხ. ჩვენი გამოცემის მე-10 გვ.

და გამოწვლილვით რომელნიცა ვპოვე ადვილად თან მოვაწყ-რე, რომელიცა ვერა ვპოვე, საცილობელი არ დავწერე“.[1]

„სიტყვის კონის“ დაკვირვებული გადათვალიერება სრულიად ადასტურებს საბას ზემომოყვანილ სიტყვებს მის მუშაობის მეთოდის შესახებ.

პირდაპირ განცვიფრებას იწვევს, როგორ შესძლო სულხან-საბამ, რომელიც იმავე დროს „ერისაგანი იყო და წარჩინებული და სოფლის საქმისაგან უცალო“ ამდენი ხელნაწერის გადაკითხვა და მათზე დაყრდნობით, ასე გამოწვლილვით გამოკრება როგორც ძველი ქართულის, ისე მის თანამედროვე ენის ლექსიკისა, ლექსიკონის წესზე გაწყობა და სათანადო ახსნა-განმარტებით წარმოდგენა მით უმეტეს, რომ ხშირად ეს განმარტება მარტივ თარგმანებას, — სიტყვის მნიშვნელობის გამოვლინებას, აღემატება და საგანთა თუ ცნებათა ფართო განმარტებას შეიცავს. ყოველივე ამის გათვალისწინება გვარწმუნებს, რომ საბას მიერ ერთ ლექსში თავის შესახებ ითქმული: „ახლად შევკრიბე, შევაწყვე, ჩემი ვიშრომე სულხანი“, არავითარ გადაჭარბებას არ წარმოადგენს. საკმარისია გადავხედოთ „სიტყვის კონის“ ასეთ ვრცელ განმარტებათა ნიმუშებს, როგორიც გვხვდება, მაგალითად, აქ ჩამოთვლილ სიტყვებზე: განშჯა, გონება, გულისწყრომა, ვითარება, თანამონათესავე, კავშირნი, მეცხრე ცა, მეხი, მფლობელი, ნათესავი, პერიპატიოჲ, პითონი, რაოდენობა, რასამიმართი, სიზმარი, საგრძნობელი, სიტყვა, ტატანი, ულუკი, ურჩხული, უფლება, ქარვა, შეგულისსიტყვა, შემთხვევითი, ცხოველნერგი, ძილი, წესი, ხატოვნება, ხლიჩი, ხრმალი და სხვ., რომ დავრწმუნდეთ: ამ სიტყვათა განმარტება სპეციალურ ლიტერატურის გამოყენების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. აღსანიშნავია, რომ საბა, უმეტეს შემთხვევაში, მიგვითითებს კიდეც ამათუიმ ლიტერატურაზე ფიქრობს რა, იქნება ვისმე ვრცლადაც ენებოს ამათუიმ ცნების განმარტებაო. ასე მაგალითად:

---

[1] იხ. დასახელებული შრომის გვ. 10.

ა. **თანამონათესავეს** განმარტებას შემდეგი შენიშვნა ახლავს: კათიღორიას[1] 20 თავში გრძლად ჰპოვ;

ბ. **რასამიმართის** განმარტების დასასრულს ვკითხულობთ: სრულიად 33 კათიღორიას თავსა იძიე;

გ. **ვითარების** განმარტება მიგვასწავლის: ვრცლად კათიღორიას 35 თავსა სწერია;

დ. **გონების** განმარტება ასე თავდება: თუ ვრცლად ცნობა გენებოს 20 კავშირში[1] ჰპოო. და ასე სხვა. ვრცელი ცნობებით არიან წარმოდგენილნი საბას „სიტყვის კონაში" აგრეთვე საერო და სასულიერო ცნობილი მოღვაწენი. რასაკვირველია, სპეციალურ წყაროების გამოუყენებლივ ჩვენ ამ ცნობებს ვერ მივიღებდით. ასეთები არიან: არისტოტელი, პლატონ, პორფირი, პროკლე, ანდრია, ბართლომე, ბარნაბა, თომა, იაკობ და სხვა.

ასევე სათანადო წყაროების გამოყენებითა და მათზე მითითებით არის წარმოდგენილი საბას „სიტყვის კონაში" დანარჩენი სიტყვებიც: არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები, ზმნები, ზმნისზედები, კავშირები, თანდებულები და ნაწილაკები, რომლეთაც ჩვეულებრივ მარტივი, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ზედგამოჭრილი განმარტება ახლავთ.

მრავალმხრივი გამოძიებით მტკიცდება, რომ საბა ბრმად არ ენდობა წყაროებს, ავტორებსა თუ მთარგმნელებს. ჩვეულებრივ, „გამოწვლილვით" გამოძიების შემდეგ უცხადებს ნდობას სულხან-საბა ამათუიმ წყაროს და მხოლოდ მაშინ შეაქვს ესათუის სიტყვა თავის ქართულ ენის საუნჯეში.

საბამ იცის, რომ „მოლექსეთათვის სიტყვა და ლაპარაკი არა დაიდება, რაჲც გაეწყობა მას იტყვიან. ვიეთთა მთარგმნელთაცა ესრეთ უქნიათ". ამიტომ არის, რომ დასამოწმებლად გამოსაყენებელ წყაროებს, ამათუიმ ხელნაწერებს საბა ამ საზომით შეარჩევს: „ვინცა სიტყვას რიგით გააწყობს უმჯობესია". ყურადღებას იქცევს, თუ როგორ ამკობს სულხან-საბა ამათუიმ სიტყვის განმარტებასთან დაკავშირებით ისეთ მწერ-

---

[1] კათეღორიის თავთა შესამოწმებლად იხ. საქ. სახ. მუზ. ხელნაწერი H № 2562; „კავშირნი"-ს თავთა შესამოწმებლად ხელნ. H № 1337.

ლებსა და მთარგმნელებს, რომლეთაც „სიტყვა რიგით ვერ გაუწყვიათ“. ასე მაგალითად:

ა. **ჭანგის** განმარტებაში ვკითხულობთ:
„უმეცარნი ღვინოსა მოძმარებულსა რომელნიმე ჭ ა ნ გ ს ა უწოდენ და რომელიმე კ ა ნ ჭ ს ა. არცა ერთია მათი სახელი, — ანუ მოძმარებული, ანუ ჭმახი არს“;

ბ. **რვალის** განმარტებაში: „ვიეთთა ნაცვლად სპილენძისა აღუწერიათ, გასწორება სჯობს“;

გ. **წერტილის** განმარტებაში: „ვიეთთა წ ე ნ ტ ი ლ ა დ აღუწერიათ გაუსინჯავად“;

დ. **მკვრცხეს** განმარტებაში: „მ კ ვ რ ც ხ ე ს ა და მ კ ვ რ ც ხ ლ ს ა განკრძალვით გარჩევა უნდა, ვიეთნი მწერალნი არ დაჰკვრვებიან“. და თუ როგორ „განკრძალვით“ გაარჩევს მათ საბა, იხილეთ ამ სიტყვის განმარტებაში, სადაც მას ლათინური შესატყვისებიც კი მოჰყავს. (მკვრცხე — გროტოს; მკვრცხლ — პიდესტრას);

ე. **ქორეპისკოპოსის** განმარტებაში:
„უმეცარსა მწერალსა ქართლის ცხოვრებაში გაურყვნია: ქ ო რ ი კ ო ზ ი ქარაგმით ქორეპისკოპოსი ჰგონებია. ქ ო რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი უსამწყსო ეპისკოპოზს ეწოდების ბერძულად და ქორიკოზი — მეფის ნაცვალსა ჰქვან“.

ვ. **შადის** განმარტებაში:
„ვეფხისტყაოსანში რომელთამე მწერალთა შარდად აღუწერიათ უმეცრებით“.

ზ. **მილიონის** განმარტებაში:
„ქართულში მ ი ლ ი და მ ი ლ ი ო ნ ი არ გაურჩევიათ მთარგმნელებსა.

და ასე მრავალი სხვა.

საბა „განკრძალვით“ გარჩევის გარეშე არავის არ ენდობა. იგი ზოგჯერ რამდენიმე წყაროს ერთმანეთს აწამებს, აჯერებს, „გამოწვლილვით“ შეისწავლის და შემდეგ გამოაქვს თავისი მსჯავრი. ამ მხრივ სანიმუშოდ შეიძლება სიტყვა **ტროპი-ს** განმარტებაზე შევჩერდეთ:

„კავშირში ეწერა ტ რ ო პ ი, რომელ არს ცხოელთ ზურგით; სხვაში ეწერა: რომელ არს აღშენების ნივთი, რომელ არს ტროპი; მე ორივ ერთი მგონია. ნემესიოსის 27 თავში ზურგის ძვლად იტყვს, გინა ნავის საძირკვლად“.

საბა „გამოწვლილვით“ იმოწმებს თვით ბიბლიის (ძველისა და ახალი აღთქმის წიგნების) მონაცემებს. მას ქართულ ბიბ-

ლიასთან ერთად ხელთა აქვს სომეხთა, ლათინთა და ელლენთა ბიბლიები. ამას უნდა მოწმობდეს სიტყვა **ტეგანის** განმარტება: **ტეგანი** — ტარხუნა (11.42 ლუკ.) ბერძულში სხვა მხალი სწერია და ლათინურში სხვა და სომხურში — სხვა. აქ, ეჭვს გარეშეა, ლუკას სახარებიდან ამოღებულ სიტყვის ბერძნული, ლათინური და სომხური შესატყვისები გასინჯულია სათანადო ენათა ბიბლიების, კერძოდ ლუკას სახარების შესაფერის თავსა და მუხლში (11. 42).

ასევე კრიტიკულად ეპყრობა საბა ზეპირ წყაროებს, მთქმელებსა და ცნობების მიმწოდებლებს. ამ მხრივ დაუვიწყარია საბას შენიშვნა ერთ მის თანამშრომელ ბერმონაზონის შესახებ:



„ამა წიგნთა შინა რაოდენი ადგილთა ბერძული სიტყვა სწერია, რომელიც წიგნით შევიტყევი, სწორედ დავწერე. ერთი მღდელმონაზონი იყო, ბერძულს ჩემობდა. რომელიმე მისი სიტყვით დავწერე და მას უკან ვსცან, არა იცოდა რა. ვინც საზომს მისწუდეთ, გასინჯეთ, ესრე მომიჴდა... (იხ ჩვენი გამოცემის გვ. 279).

თავისებური შენიშვნა გვხვდება აგრეთვე სიტყვა **ტაბარაკის** განმარტებაში: „ვიეთთა ხერხი მითხრეს, ვიეთთა საფხეკი".

საყურადღებოა, რომ ხსენებული სიტყვაც ბიბლიიდან მომდინარეობს, (სახელდობრ 2 მეფეთა წიგნის 12 თა-

ვის 31 მუხლიდან) მაგრამ, თუ ჩვენი დროის დაბეჭდილ ბიბლიაში ტაბარაკის მაგიერ სათანადო ადგილას ხ ე რ ხ ი გვხვდება, ეს ფაქტი საბას მიერ სამოწმებლად გამოყენებულ ხელნაწერ ბიბლიის განსხვავებულობაზე მიგვითითებს.

ვიკითხოთ ახლა: როგორ იქცევა საბა იმ შემთხვევებში, როცა ძნელი სიტყვები ხვდება, ღრმა წიგნებში ეძებს, მაგრამ ზედმიწევნით ვერ არკვევს მათ მნიშვნელობას?

ზემოთ არა ერთხელ მოხსენებულ თავის „ანდერძნამაგში" საბა ამ კითხვაზე ასე გვიპასუხებს: „რომელნიცა ძნელი სიტყვანი არ ვიცოდი, ღრმა წიგნებთა შინა ვიძიე და რომელიმე სხვათა ენათა შევამოწმე და გამოწვლილვით რომელიცა ვპოე. ადვილად თან მოვაწერე, რომელიცა ვერა ვპოე, საცილობელი არ დავწერე, არამედ მუნვე კიდურთა ზედა წითლითა ნიშნად იგივე სიტყვები მოვაწერე, — ნუთუ სხვა წერილთა მისთანა სიტყვა ეწეროს, გამოძიებით იპოება".

საბას ამ პასუხიდან და „სიტყვის კონაში" მოყვანილ მთელ რიგ სიტყვების დაკვირვებიდან ირკვევა, რომ როცა საბა „საზომს ვერ სწვდება" ე. ი. წყაროებზე დაყრდნობით სიტყვის მნიშვნელობას ვერ არკვევს, იგი სიტყვას მაინც გამოსწერს და ხშირად აშიაზე (იშვიათად ტექსტში) მოჰყავს ამ სიტყვის შემცველი წინადადება, ამოწერილი ამათუიმ საღვთისმეტყველო, ფილოსოფიურ თუ სხვა რომელიმე საერო წიგნებიდან სათანადო წყაროს ჩვენებით. საბა ფიქრობს, რომ ასეთ სიტყვათა განმარტებისათვის კიდევ სხვა წყაროთა შესწავლა-შედარება იქნება საჭირო და მათ განმარტებას მომავალ თაობებს შესთხოვს: „თქვენ იგულისმოდგინეთ... თქვენ შეასრულეთ. არა უმეცართა გეტყვი, არამედ ბრძენთა ვედრებით მოგახსენებთ".[1]

ამის მაგალითებიც საკმარისად გვხვდება „სიტყვის კონაში". აი ზოგიერთი მათგანი:

ა. **გემნენ** — განუმარტავია. აშიაზე მიწერილი აქვს: (72 კავშირ.) „ოდეს ქუშმდებარედ გ ე მ ნ ე ნ ნაწილები"

---

[1] დაბადება (ბიბლია) ნაწილი პირველი, ტფილისი, ექვთიმე ხელაძის სტამბა. 1884 წ. ...„და დასხნა ხერხთა ზედა და კუროს თავთა რკინისათა და ცალთა რკინისათა"... (გვ. 648).

[1] იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 11.

ბ. **ველაზმაგი** — განუმარტავია. მიწერილი აქვს ციტატა: (ეფთვმე ქართველი) „ქ. ჯვარი სალიტანიე, ვეცხლისა ოქროთცურვილი ველაზმაგისა ხატებითა“.

გ. **მნატებრივთა** — განუმარტავია. მიწერილი აქვს (37 ნემესიო) „და ყოფაცა უკვე მნატებრივთა საუწყოთა“.

დ. **მღვირდო** — განუმარტავია. მიწერილი აქვს (კარაბადინი) „ასვი სიქორაგი ერთი მღვირდოის წილი“.

მაგალითების გამრავლება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, უალაგობისა გამო, ამით დავკმაყოფილდეთ.

საბას მიერ „ღრმათა წიგნებთა შინა“ გამოძიებით ახსნილ სიტყვათა შორის გვხვდება ისეთი მაგალითებიც, სადაც ციტატასთან ერთად საბას თავის ახსნა-განმარტებაც მოუცია. ასეთი მაგალითები, სამწუხაროდ, ძალიან ცოტაა. იხილეთ სიტყვები: მაწანებელთანი, ნახიბლი, სუნტაქსვა, ტორანტოსი, უსნო. ასეთი განმარტებანი (ალბათ, მეტის სიფრთხილისათვის) საბას მგონიაობით აქვს წარმოდგენილი, მაგალითად:

ა) **ტორანტოსზე** მოყვანილ ციტატის შემდეგ საბა შენიშნავს: „კარვის სვეტის გარდასაბმელი მგონია“.

ბ) **უსნო**-ზე შენიშნავს: უსენო მგონია.

ზოგჯერ ასეთ კატეგორიის სიტყვებთან თვით ჩვენგან ითხოვს დამატებითს შემოწმებას. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს სიტყვა **სფირმიგლოსის** განმარტება: „ფილოსოფოსსა და რიტორსავით რამ არის. შეამოწმე“.

*
* *

საბას მიერ შეკრებილი და განმარტებული „საუნჯე ქართულ ენისა“ საფუძველია ვრცელი ქართული ისტორიული ლექსიკონის შესადგენად. შემდეგი დროის ჩვენი ლექსიკოგრაფები ბევრით დავალებულნი არიან საბასაგან ისე, როგორც მისი თანამედროვენი.

„სიტყვის კონაზე“ ნათქვამი გიორგი მეფის სიტყვები: „დიახ, კარგი წიგნია და კარგადაც გავეწყე“ შეიძლება თანამედროვეთა საერთო აზრს გამოხატავდეს, თუმცა იყვნენ ისეთი მეხოტბენიც (როგორც დიმიტრი ორბელიანი), რომელთაც სწამდათ, რომ „თუ ვისმე გწადის ეს წიგნი, ეგრე გმატსთ ვითა რუსთველსა“. აღსანიშნავია, რომ ჩვენს სიძველეთასაცავებში „სიტყვის კონის“ ხელნაწერი ცალები უფრო მეტის რაოდენობით არის შემონახული, ვიდრე „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები, რომელთა რიცხვი 50 მაინც აღემატება. ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, რადგან საბას „სიტყვის კონის“ გადაწერას აწარმოებდნენ მთელ მეთვრამეტე საუკუნის მანძილზე და იგი არ შეუწყვეტიათ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარშიც.

ჩვენთვის უფრო საყურადღებოა, რომ ამავ საუკუნეებში საბას გამოუჩნდნენ შემმოწმებელ-შემვსებელნი. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღების ღირსნი არიან ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, (1772—1839) რომელიც იმდროინდელ სანკტ-პეტერბურღში მოღვაწეობდა, და დავით ალექსიძე-მესხიშვილი თელავის, მეფე ერეკლეს დროინდელ, სემინარიის რექტორი (1790 წლიდან—1803 წლამდე). მათ მიერ გადაწერილი „სიტყვის კონის“ ხელნაწერები[1] წარმოადგენენ ერთ-

---

[1] იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან № 253. დავით რექტორის (ყოფ. საეკლესიო მუზეუმის ფონდიდან № 288. დავით ალექსიძე-მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ-ზ ე იხ. ვ უ კ. ბ ე რ ი ძ ე, დავით რექტორი — ლექსიკოგრაფის საბა ორბელიანის გამგრძელებელი. თბ. სახ. უნივ. შრ. I, თბ. 1936. გვ. 310 — 332.

გვარ ცდას მოგვცემ რამოდენიმედ შევსებულ-შესწორებული საბას ლექსიკონი, თანახმად მისივე ანდერძისა: „რომელთა მოგცესთ უფალმან სიბრძნე და მეცნიერება, თქვენ შეასრულეთ“.

საბას „დამატებათა და შესწორებათა“ ნაკვეთში, რომელიც ამ ტომს უნდა მოჰყვეს, როგორც „სიტყვის კონის“ ხელნაწერთა რედაქციებზე ჩვენი მუშაობის შედეგი, სათანადოდ იქნება გათვალისწინებული ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა და დ ა ვ ი თ რ ე ქ ტ ო რ ი ს წვლილი.

მაგრამ შესამოწმებელი და შენიშვნის ღირსი (დამატებათა გარეშეც) საბას „სიტყვის კონაში“ ისე, როგორც მან დაგვიტოვა უკანასკნელ რედაქციით, რაც ასახულია ჩვენს გამოცემაში, შეიძლება არც თუ ისე მცირე რამ იყოს. ყოველივე ეს ნათლად გაირკვევა მას შემდეგ, როცა, შეძლებისამებრ, გაიშიფრება საბას მიერ დასახელებული და ზოგჯერ ზედმიწევნით (თავსა თუ მუხლზე) მითითებული ყველა წყარო, დაწყებული ბიბლიიდან და გათავებული კარაბადინით. ასეთი შემოწმების გარეშე ბევრი რამ შეიძლება გაურკვეველი დარჩეს შემდგომი დროის „სიტყვის კონის“ ხელნაწერთა დამატებებისა და შესწორებათა გათვალისწინების შემდეგაც. ამაში ჩვენ დაგვარწმუნა „სიტყვის კონაზე“ ჩვენი მუშაობის დროს გამოვლენილმა ზოგიერთმა გაუგებრობამ, რომლის ერთერთ ნიმუშზე აქვე მსურს მოგახსენოთ.

ცნობილია, რომ საბა ბიბლიის შემდეგ ჩვენს ფილოსოფიურ თხზულებათაგან ყველაზე მეტად ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი ს ნაშრომებს დაესესხებია, როგორც ციტაციის, ისე ცნებების განმარტებათა შედგენის მხრივ. მარტო პ რ ო კ ლ ე დ ი ა დ ო ხ ო ს ი ს ცნობილ ნაშრომიდან („კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“) საბას ბერძნულ წარმოშობის 80-ზე მეტი სიტყვა ამოუღია ზოგჯერ სათანადო ციტაციით და განმარტებითაც. მიუხედავად იმისა, რომ საბა ამ წყაროს დიდის გულისყურით იყენებს, გაუგებრობას მაინც ვერ ასცდენია. მას ამ წყაროზე დაყრდნობით თავის „სიტყვის კონაში“ შეაქვს სიტყვა ც რ უ ლ ი. სათანადო ციტატით: „...ორვე ცრული სარეცელთა მიმდოვრებისა“. ირკვევა, რომ როგორც სიტყვა, ისე ციტატა შეცდომით არის ამოწერილი: დედანშია: ... არ ვეც

რული სარეცელთა მიმდოვრებისა“. არარსებული სიტყვა **ცრული**[1] კი წარმოშობილა **ვეც** სიტყვის ბოლო ასოს (ც-ანის) მიმდევნო სიტყვასთან (რული) შერწყმით (ც+რული).

ჩვენ, რასაკვირველია, ასეთი და მსგავსი გაუგებრობის აღნიშვნით ოდნავადაც არ გვსურს ჩრდილი მივაყენოთ საბას ბრწყინვალე შარავანდს, მაგრამ, როგორც თვითონ ბრძანებს: „გასწორება სჯობს“.

ამ გამოცემასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული სამუშაო ჩვენ ჯერ ნაწილობრივ გვაქვს შესრულებული. ვფიქრობთ, რომ მისი დასრულებული სახით გამოქვეყნება („სიტყვის კონის“ დამატებად) ერთგვარ წვლილს შეიტანს დიდი ლექსიკოგრაფის ძვირფას მემკვიდრეობის ათვისებაში.

ს. იორდანიშვილი

---

[1] ც რ უ ლ ზ ე ვ ე მიუთითებს სიტყვა მმადი. იხ. მ მ ა დ ი ცრულთან ნახე.

— თავი სიტყჳს კონისაჲ —

ანბანი პირველად სასწავლო ყრმათათჳს

ა ბ გ დ ე ვ ზ ჱ თ ი კ ლ მ ნ ჲ ო პ ჟ რ ს ტ უ ჳ ფ ქ ღ
ყ შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჴ ჯ ჰ ჵ ჶ

ა, ან: ბ, ბან: გ, გან: დ, დონ: ე, ენ: ვ, ვინ: ზ, ზენ: ჱ, ჱე: თ, თან: ი, ინ: კ, კან: ლ, ლას: მ, მან: ნ, ნარ: ჲ, ჲე: ო, ონ: პ, პარ: ჟ, ჟან: რ, რაე: ს, სან: ტ, ტარ: უ, უნ: ჳ, ჳე: ფ, ფარ: ქ, ქან: ღ, ღან: ყ, ყარ: შ, შინ: ჩ, ჩინ: ც, ცან: ძ, ძილ: წ, წილ: ჭ, ჭარ: ხ, ხან: ჴ, ჴარ: ჯ, ჯან: ჰ, ჰაე: ჵ, ჵ[ოე]: ჶ, ჶა: დ̊: ესე სიტყჳს შემკრავია; ზედით ანი უჯდეს:

ჶ, ესე ფარსა და ჳეს საშუალოდ ითქმის. ძუელს წიგნში ახლა ვიპოვეთ. სხუათა ენ[ის] [თა]რგმანებათა შინა ფრიად საჴმარი არს. ამისთჳს ბოლოს დავსვი.

დ̊ თუ [ზევი]თ ანი უზის სიტყჳს შემკრავია; და თუ გვერდით დაუსვან სიტყჳს რიგია.

ყ[ოვლ]ის ენის ანბანთა ბოლოს უწერია. მე ამისთჳს ჩაურთე.

მეორედ სწავლება ანბანის რიგისა, სადა ჴმიანი ასო საჴმარ არს რიგით[ა]

ბა	ბე	ბი	ბო	ბუ	ტა	ტე	ტი	ტო	ტუ
გა	გე	გი	გო	გუ	ფა	ფე	ფი	ფო	ფუ
და	დე	დი	დო	დუ	ქა	ქე	ქი	ქო	ქუ
ვა	ვე	ვი	ვო	ვუ	ღა	ღე	ღი	ღო	ღუ
ზა	ზე	ზი	ზო	ზუ	ყა	ყე	ყი	ყო	ყუ
თა	თე	თი	თო	თუ	შა	შე	ში	შო	შუ
კა	კე	კი	კო	კუ	ჩა	ჩე	ჩი	ჩო	ჩუ
ლა	ლე	ლი	ლო	ლუ	ცა	ცე	ცი	ცო	ცუ
მა	მე	მი	მო	მუ	ძა	ძე	ძი	ძო	ძუ
ნა	ნე	ნი	ნო	ნუ	წა	წე	წი	წო	წუ
პა	პე	პი	პო	პუ	ჭა	ჭე	ჭი	ჭო	ჭუ
ჟა	ჟე	ჟი	ჟო	ჟუ	ხა	ხე	ხი	ხო	ხუ
რა	რე	რი	რო	რუ	ჴა	ჴე	ჴი	ჴო	ჴუ
სა	სე	სი	სო	სუ	ჯა	ჯე	ჯი	ჯო	ჯუ

მესამედ სწავლა ანბანურად გენქის გარჩევით პირველ ამოღებისა

მა მათ. ჩუე ნო: რო მე ლი. ხარ. ცა თა. ში ნა: წმი და. იყ ავნ. სა ხელი. შე ნი: მო ვე დინ. სუ ფე ვა. შე ნი: იყ ავნ. ნე ბა. შე ნი: ვი თა რცა. ცა თა. ში ნა: ეგ რე ცა. ქუე ყა ნა სა. ზე და: პუ რი. ჩუე ნი. არს ობი სა: მო მეც. ჩუ ენ. დღეს. და. მო მი ტე ვენ. ჩუ ენ: თა ნა ნა დებნი. ჩუე ნი: ვი თა რცა. ჩუ ენ. მი უტე ვებთ: თა ნა მდე ბთა. მათ. ჩუე ნთა: და ნუ შე მი ყუ ან ებ. ჩუ ენ. გა ნსაცდ ელსა: არ ა მედ. გვიჯ სენ. ჩუ ენ. ბო რო ტი სა გან:

[ქ. ანბანთა რიცხვთა სწა]ვლანი, თუ რომელნი, რაოდენთა რიცხვთა იტყვიან

ა	ერთი	ს	ორასი
ბ	ორი	ტ	სამასი
გ	სამი	უ ჳ	ოთხასი
დ	ოთხი	ფ	ხუთასი
ე	ხუთი	ქ	ექუსასი
ვ	ექვსი	ღ	შვიდასი
ზ	შვიდი	ყ	რვაასი
ჱ	რვა	შ	ცხრაასი
თ	ცხრა	ჩ	ათასი
ი	ათი	ც	ორი ათასი
კ	ოცი	ძ	სამი ათასი
ლ	ოცდათი	წ	ოთხი ათასი
მ	ორმეოცი	ჭ	ხუთი ათასი
ნ	ერგასი	ხ	ექვსი ათასი
ჲ	სამეოცი	ჴ	შვიდი ათასი
ო	სამეოც და ათი	ჯ	რვა ათასი
პ	ოთხმეოცი	ჰ	ცხრა ათასი
ჟ	ოთხმეოც და ათი	ჵ	ათი ათასი
რ	ასი		

ნულა და ქართული რიცხვის სწავლა

1	ა	37	ლზ	73	ოგ	109	რთ
2	ბ	38	ლჱ	74	ოდ	110	რი
3	გ	39	ლთ	75	ოე	111	რია
4	დ	40	მ	76	ოვ	112	რიბ
5	ე	41	მა	77	ოზ	113	რიგ
6	ვ	42	მბ	78	ოჱ	114	რიდ
7	ზ	43	მგ	79	ოთ	115	რიე
8	ჱ	44	მდ	80	პ	116	რივ
9	თ	45	მე	81	პა	117	რიზ
10	ი	46	მვ	82	პბ	118	რიჱ
11	ია	47	მზ	83	პგ	119	რით
12	იბ	48	მჱ	84	პდ	120	რკ
13	იგ	49	მთ	85	პე	121	რკა
14	იდ	50	ნ	86	პვ	122	რკბ
15	იე	51	ნა	87	პზ	123	რკგ
16	ივ	52	ნბ	88	პჱ	124	რკდ
17	იზ	53	ნგ	89	პთ	125	რკე
18	იჱ	54	ნდ	90	ჟ	126	რკვ
19	ით	55	ნე	91	ჟა	127	რკზ
20	კ	56	ნვ	92	ჟბ	128	რკჱ
21	კა	57	ნზ	93	ჟგ	129	რკთ
22	კბ	58	ნჱ	94	ჟდ	130	რლ
23	კგ	59	ნთ	95	ჟე	131	რლა
24	კდ	60	ჲ	96	ჟვ	132	რლბ
25	კე	61	ჲა	97	ჟზ	133	რლგ
26	კვ	62	ჲბ	98	ჟჱ	134	რლდ
27	კზ	63	ჲგ	99	ჟთ	135	რლე
28	კჱ	64	ჲდ	100	რ	136	რლვ
29	კთ	65	ჲე	101	რა	137	რლზ
30	ლ	66	ჲვ	102	რბ	138	რლჱ
31	ლა	67	ჲზ	103	რგ	139	რლთ
32	ლბ	68	ჲჱ	104	რდ	140	რმ
33	ლგ	69	ჲთ	105	რე	141	რმა
34	ლდ	70	ო	106	რვ	142	რმბ
35	ლე	71	ოა	107	რზ	143	რმგ
36	ლვ	72	ობ	108	რჱ	144	რმდ

145	რმე
146	რმვ
147	რმზ
148	რმჱ
149	რმთ
150	რნ
151	რნა
152	რნბ
153	რნგ
154	რნდ
155	რნე
156	რნვ
157	რნზ
158	რნჱ
159	რნთ
160	რჲ
161	რჲა
162	რჲბ
163	რჲგ
164	რჲდ
165	რჲე
166	რჲვ
167	რჲზ
168	რჲჱ
169	რჲთ
170	რო
171	როა
172	რობ
173	როგ
174	როდ
180	რპ
181	რპა
182	რპბ
183	რპგ
190	რჟ
191	რჟა
192	რჟბ
193	რჟგ
194	რჟდ
200	ს
201	სა
202	სბ
203	სგ
204	სდ
205	სე
206	სვ
207	სზ
208	სჱ
209	სთ
210	სი
211	სია
212	სიბ
213	სიგ
214	სიდ
215	სიე
216	სივ
217	სიზ
218	სიჱ
219	სით
220	სკ
221	სკა
222	სკბ
223	სკგ
230	სლ
231	სლა
232	სლბ
233	სლგ
240	სმ
241	სმა
242	სმბ
243	სმგ
250	სნ
251	სნა
252	სნბ
253	სნგ
260	სჲ
261	სჲა
262	სჲბ
263	სჲგ
270	სო
271	სოა
272	სობ
273	სოგ
280	სპ
281	სპა
282	სპბ
283	სპგ
290	სჟ
291	სჟა
292	სჟბ
293	სჟგ
300	ტ
301	ტა
302	ტბ
303	ტგ
400	უ
401	უა
402	უბ
403	უგ
500	ფ
501	ფა
502	ფბ
503	ფგ
600	ქ
601	ქა
602	ქბ
603	ქგ
700	ღ
701	ღა
702	ღბ
703	ღგ
704	ღდ
800	ყ
801	ყა
802	ყბ
803	ყგ
804	ყდ
900	შ
901	შა
902	შბ
903	შგ
904	შდ
1000	ჩ
2000	ც
3000	ძ
4000	წ
5000	ჭ
6000	ხ
7000	ჴ
8000	ჯ
9000	ჰ
10000	ჵ
1000	ჩ
10000	იჩ
100000	რჩ
1000000	ჵჵ

ესე წილა ყოველთა რიცხვთა და ანგარიშთა უმჯობესია.

ყოველნი ქრისტიანენი, ანუ ჰურიანი, გინა წარმართნი ამის მიერ რიცხუენ.

ქართუჳლთა მიკვრან, რად არა დასჭურიტეს, ანუ წმიდათა მამათა დაუტევეს.

აწ მე სომხურის წიგნიდამ გარდმოვიღე; მუნცა ესრე ნაკლებ ნაკლები ეწერა; სიგრძისათჳს აღარ შეესრულებინათ. ვინცა აქამდი ისწავლის, სხუასაც თჳთანვე მიხვდება და შეასრულებს.

ქართულისა ანბანთა სათუალავი თან ჩართჳთ დამისხამს. ვისცა უნდა საჭირო არ არის და ვისაც არ ენებოს განსუენებით იჯდეს.

ყოველს ენაში სხუა და სხუა რიგი რიცხვებიც არის, მაგრამ ესეც კარგია.

საქცევნი ხუთთა ჴმიანთა ასოთანი და სწავლა სხვათა ასოთა და თავგოლოთანი

ქართულთა ენათა ანბანთა ასონი არიან: 40: და ებრაელთა: 22: ლათინთა: 24: და ელლენთა, არაბთა: 29: და ინდოთა: 12: რუსთა, სომეხთა და კუალად სხუათა, რომელთამე მეტი და რომელთამე ნაკლები, ენათა სიგრძე მოკლობისა და მიმოქცევისათჳს. რამეთუ არიან ენანი, რომელ ჴორჴთა შინა იტყჳან სიტყუათა და არიან ენის წუწრუალთათა. ამის გამო არს ენათა მეტნაკლებობაჲ.

მანდარი (2 მეფ. 6. 19) თხელი პური ერბოთ მომწუარი.

მ ა ნ დ ა რ ი ითქმის მანდვე არს.

მანდატური ესე არს ქელ არგნოსანი, მეფეთ გარე მდეგი.

მანდატურთუხუცესი მათი უფროსი.

მანდვია მონაზონთ გარ საბლარდნელი ნაოჭიანი.

მანდიკი გაშკარანი.

მანდრაგორი (30. 14 დაბად.) ბალახია, ვაშლივით მოიბამს. ვინც სჭამს ძილს მოგურის.

მანდრინი საწანგროსთან ნახე.

მანდური ყორით ნაგები ნიში.

მანე ესე არს თ გ ა ლ თ ა ს ი ბ ი ნ დ ე, სტომაქის ალორთქლებისაგან ქმნილი.

მანთვა (32. 55) (44. 30).

მანი ესე არს, რომელსა თათარნი მისცემენ მ ი ზ დ ა დ საწოლისა ცოლთა მათთა, გულის თქმისა მათისათჳს. მ ა რ ი ც იგივე.

მანიაკი (3 ეზრა. 3. 6) საყელო მოთვალულ მომარგალიტული.

მანინკუნგე აფრიკასი (·) (7.).

მანკანა მასმორი. საცეცხლურია ილეკროთაგან ზამთარ წინ სადგმელი.

მანკი ვნება რამ დაშთომილი.

მანკიერება (6. 11 ლუკა) გულით ვნება ალუკოცული.

მანკიერი მანკიანი.

მანნაჲ (41. 5 იერე.) შესაწირავი (1. 10 ბარუ.).

მანჟალი ელლენებრ სასანთლე.

მანჟვე, მანოე O განსუენება.

მანქანება მრავალ სახე ჭერჭის ქცევა.

(სვ/205) **მანქანი** (2 ნეშტ. 26. 15) ჭახრაკი.

მანწური სხუათა ენაა, სიგლისათჳს დაურქმევიათ ცუდად.

მანძილო ბერწმსუქანი; გინა ძმარში ნალები სამწუადე.

მანჭკუალა სოკოა კუნძზე ბმული.

5 **მანჭუა** V.

მანჭუალი ჩასაყარი ლუსმარი.

მანჯანიკი ჩიგორგლის ამოსალები ჭახრაკი.

მანჯიკი მომცრო მარჯილი.

მაოცარი მაოცნებელი.

10 **მაოცი** საოცის მქნელი.

მაოცნებელი ოცნების მაჩუენებელი.

მაჟალო ტყის ვაშლი Ῡ.

მაჟარა წყალში დამწნილი მხლები.

მაჟაური (2. 11 ამბაკ.) მატლი ხის გულთა მჭამელი.

15 **მაჟმობელი** საგალობელ ჭმოანება.

მარა O მწარე.

მარა მაგრამ იმერულად.

მარაგი ცაჲ რა თხელითა ღრუბლითა შემოსილ იყოს, იგი არს მარაგი.

ხოლო აქა იქ ღრუბელი და კუალად მჩენი იალკიალ არს.

მარაგით ზრახვა არს სიტყუა ესრე გვარად სთქვა ადგილ საცნაურ არ იყოს, არამედ ვითარცა ღრუბელი რამ ემოსოს, ანუ ორ სამ რიგად, გაისინჯოს.

20 **მარადის** (50 ფსალ.) ნიადაგ მუდამ.

მარადღამე (6. 5 ფსალ.) ღამე ყოველ.

მარადღე (31. ფსალ.) დღე ყოველ.

მარაკი თხელი ტყავი ლჳძლის კერძო მუცელში.

მარანათა (1 კორინ. 16. 22) ოდეს იგი თქვა მოციქულმან; „რომელსა არა უყვარდეს უფალი ჩვენი იესო ქრისტე, იყავნ შეჩვენებულ!“ ესოდენ მჴურვალითა გულითა თქვა სიტყუა იგი, რომელ მეყსეულად უფალი იხილა. ამითჳს შეუდგინა და დაწერა ასურულითა ენითა: მარანათა ვითარმედ უფალი მოვიდა.

25 **მარანი** საღჳნე სახლი.

მარაო ჴელით მოსაქროლებელი.

მარაზი სხუათა ენაა, თოკსა ჰქჳან.

მარაქა ქალთ ჯარი ლხინში.

მარბიელი მარზიკნი.

30 **მარგალიტი** (13. 46 მათე).

მარგებელი რგების მოქმედი.

მარგებენ (7. 4 იერემ.).

მარგი ბოსტნის დაკუალული.

მარგილი ხე წუწრ წათლილი, დასარჭობი.

35 **მარგლა** ბალახთ ამოგლეჯა.

(სვ/206) **მარგული** წყლული უმრთელებელი.

მარდა ესე არს არა დღითი

ფასი, არამედ გარდაკუეთით მუშაკობა.

მარდი „ვითარცა კაცი მარდი". კაცი სწრაფი, გინა სხვა რამ ცხოველი.

მარდოქე O მწარედ შემუსვრილი.

მარდული ფიჭვის ძელი მკურიანი.

მარზაპანი (3. 2 დანიელ) მონაცუალე.

მარზიკნი მბრძოლნი მაოჭარნი.

მარზო ნარდის მღერაა ერთ რიგი.

მართ ესე არს შედარებით რამ ნაკლებობა და ეგრევე შემსგავსება. რამეთუ ვიტყვთ: „მართ რომ მისთანა არს".

მართა O ნაცულად ჴმობილი, გინა საუფლო, გინა დანერგული.

მართალი (12. 24 დაბა.) უტყუარი.

მართება ვალად ედვას.

მართებული საქნელი ქნას.

მართვა მრუდის გასწორება.

მართვი (5. 7 ლევი.) ზოგად ყოველთა ფრინველთა შვილთ მართჳ ეწოდება, მწერით ვიდრე ირაოდ და ორბამდე. არამედ ბაზთა მართუეთა ეწოდების ქული;
ყვავთა, ყორანთა და მისთანათასა ბაჭალა;
ჴოჴობთა, კაკაბთა და მისთანათასა ლაპი;
ბატთა, იხუთა და მისთანათასა ჭუჭული;
სავათთა, წეროთა და მისთანათასა ბჟიტი;
ქათამთა, ფარშამანგთა და მისთანასა წიწილი;
ტრედთა და გურიტთა და მისთანათასა ჴუნდი;
მწერთა და ბუზთასა — ფუმფლა.
მართუენი ყორნისანი გაწყობისათჳს აღუწერიათ.

მართლმადიდებელი მართალი შჯული.

მართლმორწმუნე მართლის სარწმუნოებისა.

მართლუკუნ.

მართური ψ შაბუ.

მარი (2 მეფე. 16. 1) ხოისი. მარი ითქმის მომერიდე. მარი ეწოდების მოჰმადიანთა ცოლის მიზდსა, რომელსა ქებინად უწოდენ.

მარიალისა ივნისი.

მარიამ O მაღალ სიმწარით ზღვს, გინა განმანათლებელი.

მარიამხაკმელა ψ.

მარიკელნი მძნა და მისნობათა მოქმედნი.

მარილი (2. 13 ლევიტ.).

მარიოტა მას ცის გრკალსა ეწოდების, რომელსა ბუნიობასა მზე მას ზედა ვალს გასწორებასა დღისა და ღამისასა.

მარიხი არია *.

მარსიკონი მარიკელნი.

მარკოზ O ზღუდე მრჩობლი, გინა მაღალი მცნება.

მარმარა (6. 71 ბარუქ.) მარმარილო.

(სხ 207) **მარმარილო** (6. 11 ბარუქ.) დრუნგილი.

მარმენიო ბედი, სახელი არს

ბედნიერ უბედურობისა.

ხოლო სუჲ წარმართთაგან თქმულჲ რაჲმე კაცსა ზედა ყოფაჲ კეთილისა და განმარჯუებისა ვარსკულავთა მიერ მიცემულობითა.

ხოლო მ ა რ მ ე ნ ი ო სუჲ წ ი ლ ხ დ ო მ ი თ თითოეულსა ზედა, ჟამთა სიგრძე მოკლეობა, რომელთა გარეშენი უწოდენ, ხოლო ჩვენ არა შევიწყნარებთ. (კავშირის ბოლოს).

მარმიჭი ♥.

მარნა წურილი ტირიფი, ვენაჴის ასაკრავი 🍸.

მარნეული მარნას რტოთაგანი 🍸.

მარხი ნარდის მღერისა.

მარხიბპონ O დამორჩილებული.

მარტაცი კეცის პურჭელია ჭრელად და გლუსუნად შექმნილი.

მარტვილი ლათინთა ენაა, მ ო წ ა მ ე ს უწოდენ; ხოლო მესხნი ყ რ მ ა ს ა უწოდენ.

მარტვილია პენტეკოსტე (1 კორინ. 16. 8).

მარტვირო იგივე მარტვლი.

მარტო მირკანი.

მარტივი ორხ გვარად ითქმის, რამეთუ ცხად ჰყოფს ყოვლითურთსა, ვითარცა იტყვან რიტორნი: „მარტივად სათქმელ არს“, ნაცულად „ყოვლითურთ სათქმელობისა“.

და საკუთარსა, ვითარ ოდეს იტყჳს არისტოტელი: „მ ა რ ტ ი ვ ი ქმნაჲ, რომელ არს საკუთარი“ და ცუდსა ვითარმედ სცემს მას, დაჰნიშნავს მ ა რ ტ ი ო ბ ა ს ა, ვითარ ოდენ ვიტყოდით: „მარტივად ზლაპარმა თქვა ჭეშმარიტებისაჲ“.

მარტო (3 მეფე. 18. 6) ცალკე ერთი.

მარტორქა (21. 23 ფსალ) ო.

მარფუჲ ქუდია გრძელი.

მარქაფა ჯინიბი, მეორე ცხენი ო.

მარლვი დამარლუწველი.

მარლი თვალ თეთრი.

მარყუჟი ზორტულად შეკრული.

მარჩბივი (4. 5 ქება) ტყუბი ცხოველი.

მარჩილი სამი აბაზი.

მარჩილია (24. 30) (43. 10).

მარცუალი (16. 14 გამოს.) ესე არს ერთი ც ე რ ც უ თ ა, ანუ ხ ვ ა რ ბ ა ლ თ ა გ ა ნ ი; გინა წ ე რ ი ლ თ ა ა ს ო ნ ი და რაჲც ერთი მგრგუალი მცირე იყოს.

მარცხატი (ანდრია სალოსში) „ვითარცა თხა მ ა რ ც ხ ა ტ ი იხილვებოდა“.

მარცხენა (14. 23 გამოსლ.)

მარცხი საზიანო.

მარცხულ მარცხნით.

მარწუხი (6. 6 ესაია).

მარწუხები (27. 10 გამოსლ.) კარშიკი არს გრგოლის (სწ/208) მსგავსი კილოჲ, ხოლო მარწუხები კავე რამე მის საპყრობლად ჩასაგდები კარვის მაშკთა და ფლიკთათჳს.

მარწყვ ჴმილი ♥.

მარხუა (2 ეზრა 9. 1) შეწუხვა.

მარხვა (1. 14 ესაია) ჴორცის უჭმელობა.

მარხულობა მარხვა არს შენახვა. გინათგან გიტყვთ: უნჯთა დამარხვასა, ცხოველთა ანუ მკუდართა დამარხვასა.

აგრეთვე მუცლისა, ენისა, ხუაშიადისა და სწავლისა შენახვასა მარხულად სახელ ედების.

ხოლო მარხულობა იგი არს, ოდესცა განწესებულთა დღეთა, ანუ საკანონოთათჳს რაოდენ დღე მარხულობითა ვიმარხვდეთ და დღიურ ერთ გზის გჭამდეთ.

ხოლო კოლგიზმა მარხულობა ძლიერი ჴორცთა ქენჯნისათჳს.

5 **მარჯე** ღონიერი და გამძრავი კაცი.

მარჯილი დიდი; ციგა —მცირე; ნალო ეტლის მსგავსი, უთვალო, კაცთ ჩასაჯდომი თოვლზე.

მარჯანი მცირე ბაზია თვალ შავი V.

მარჯუწ (2 ნეშტ. 18. 33) მოუცდენელი.

მარჯუწნა (14. 23 გამოსლ.).

10 **მარჯულ** მარჯუწნით.

მარჯუწნით **საცმელი** (3. 2 ესაია) ქალთ სამკლავე.

მას (1. 24 მათე) იმას.

მასათი ბასრის სასრევია.

მასარი ზღუდესთან ნახე.

15 **მასარიკა** ესე არს ნაწლევი, მმარხუწლი საზრდელისა, ძარღოვანი, შედგმული ღვიძლთა, რომელსა ბერძულად ქოლოსია ჰქვან.

მასბაკი (2 მეფე. 8. 8).

მასე ცალ წუწრი და უმძიო ბადე.

მასესხა (4. მეფე. 4. 1) სესხი მომცა; გინა მას კაცს წამოესხა; ანუ მას ხილნი ებნეს.

მასეფატ სამსტოვრო.

20 **მასკნე** (17. 7. ეზეკი.) ესე არს ვაზთა და აყიროთა და მისთანათა, ძაფივით რომ აქუს, ხეზე შესახუწველად.

მასმთრი მანკანი.

მასნეფთის სელთაგან ქსოილი გჭრგჳნი აჰრონის სახურავად.

მასპინძელი სახლისა და ლხინის უფალი.

მასრა ესე არს ლერწამი, საზედაოს დასახუწველი; გინა თოფის წამლის ჩასაყრელი; გინა რაჲც კალამსავით გაჭურეტილია, მოკრძე.

25 **მასრული** ნასრულთან ნახე (2 შჯულ.).

მასსავაზა ესე არს, რომელსა ყელსა მოიხუწვენ მღრდელნი ვიდრე ბეჭთამდე.

მასტაკი ფრანგულია, ესე არს თეთრი კევი საცოხნელი; ქიოს კუნძულში ხეთა სდის.

(სთ 209) **მასტაო** დო, ბრინჯით ნამზადი.

მასტაფა დო, ჴორცით ნამზადი.

მასტიკეხობა (ნოენბრის თვესა სვინაქსარში).

მასტიკი ფეიქრის იარაღია.

5 **მასულა** სულზედ შემაგდო.

მასხარა სხუათა ენაა, ქართულად ხ უ მ ა რ ი ჰქჳან.

მატათეოს ⊙ გარდართხმული.

მატათია ⊙ ფარვა უფლისა.

მატაკარანი (39. 1 დაბად.) მზარეულთუხუცესი.

10 **მატაროცი** უთქმელის წამოთქმელი.

მატებაჲ მომატება, აღმატება, გამომატება.

მატიანე (1 ეზრა 6. 1) საღვთო წერილთა ძუელთა და ახალთა ორთავე სახელია.

მ ა ტ ი ა ნ ე დ ითქმის მეფეთ ცხოვრებანიცა.

მ ა ტ ი ა ნ ე არს მოსაჴსენებელნი საქუეყნოთა გასაგებელთა და წესთანი.

მატირა ტირილი მაქნევინა.

მატიტელა ⚘.

15 **მატლ** (21. 7 ფსალ.) მატლი ~.

მატლი (15. 20 გამოსლ.) იგივე ~.

მატლკამბი მიწის დიდი მატლი ~.

მატრაკუწი მჴევლის მჴევალი

მატუკი ⚘.

20 **მატყჳ** მაჭაკალი.

მატყიერი (4 მეფე. 1. 8) მეტად ბალნიანი.

მატყლი (1. 14 გამოცხა.) ცხოვართ თმა.

მაუზნი (13. 38 დანიელ) ძლიერივით.

მაუწყე შემატყობინე.

25 **მაფაჲ** (44. 17 იერემ.) მეფაჲ, დედუფალი.

მაფერებელი ესე არს პირს მიეტრელოს და მაქებელი და არა შემწყნარებელი.

მაფორი (6. 9 მამადცხ.) თერისტროჲ.

მაფრაშა სხუათა ენაა, ქართულად გ უ ა ლ ა გ ი ჰქჳიან.

მაქა (65. 36) (29. 10).

30 **მაქანარი** (50. 44 იერემ.) ჴევის პირი ფლატოიანი.

მაქვხიერი მქონებელი.

მაქმანი (4 მეფე. 8. 15) ბადე წურილად და თხლად ქსოვილი, ვითარცა მერდინი.

მაქო საქსოვრის ს ა ზ ე დ ა ო ს გ ა ს ა ვ ლ ე ბ ი; გინა ქ ე ბ ა შ ე მ ა ს ხ ა; გინა მ ა ქ უ ს იგიო.

მაქური დანის სასრევი.

35 **მაქციენ** (43 ფსალ.).

მაღალი ზე აღმართებით, რომელი უგრძეა, იგი არს მ თ ა ანუ ბ ო რ ც ჳ, ხ ე ნ ი ანუ ზ ღ უ დ ე და მისთანანი.

მ ა ღ ა ლ ი არს ც ა ჲ და ს ა მ ყ ა რ ო ჲ.

მ ა ღ ლ ა დ ითქმის ჰაერთა შინა ფრინველი, გინა დიდნი მეფენი, ანუ ძლიერი ჴმიანობაჲ.

მაღალი (19. 5 იერემია) საკურთხეველივით.

(სი 210) **მაღანი** მაღალი.

მაღაო ცხენის სენია ყელში.

მაღარიკონი „არა ვსუამთ სატრაპეზოდ ღჳნოსა, არამედ შეიზავების მ ა ღ ა რ ი კ ო ნ ს ა შინა ღჳნოჲ და მიეცემის ეკლესიის მნებებელთა“. (დიდი ტიბიკონი)

მალმართნი ესე იგი არს ოდეს უმჯობესსა ეზიარებოდინ.

ხოლო მ ა კ ლ ნ ი თჳსისა მყო-

ფობისაგან ოდენ უდარეს ჰყოფდეს (80 კავშ.).

5 **მაღნარი** არს მთათა შინა ტევრნალი შამბიანი (10. 18 ესაია).

მაღნიტი რკინის მიმზიდველი ქვაჲ.

მაღრანი V.

მაყარი ძმადი (ვეფხისტყაოს.)

მაყე ელას სანიშნო სუჳტი.

10 **მაყრევენ** (4. 6 მამადცხო.).

მაყუალი (3. 2 გამოსლ.) 🍸.

მაშ აბა.

მაშა, მაშ (1 მეფე. 14. 7) სიტყჳს და კითხჳს საქცევი არს, რათა ვინ რაჲ არა ქმნასა გუჳტყოდეს, დავე-კითხჳთ: „მაშ რა გუარად ვქნა?“ „მაშა ესრეთ მოჰკდე-ბა?“ და ესე ვითარნი.

მაშა ცეცხლისა ასაღებელი, გინა თოფისა. თურქთა ენაა, ქართულად ტ კ ე ც ი ეწო-დების.

ხოლო მ ა შ ა ც ე რ ც უ ს ა— ც ე ც ქ ა ჲ.

15 **მაშია** ფერჴთ საცმელია.

მაშინ (25. 34 მათე).

მიშინლა (11. 8 გამოსლ.) მა-შინ, ძვილ.

მაშინც მისვე სამოწმო.

მაშკი (4. 18 მსაჯუ.) კარვის კალთა.

20 **მაშმელი** ფუტურო (ქართლის ცხოვ.),

მაშრაპა სხუათა ენაა, ს ა რ წ-ყ უ ლ ი ს ტ ა მ ნ ი ა.

მაშუნე შემრგე.

მაშურალი (4. 6 იოანე) დაღა-ლული.

მაშუღარი შუღლის მნდომე-ლი.

25 **მაშვალა** კოკის ჩასადგმელი საზიდრად.

მაჩივლა საჩივარი მათქმია.

მაჩინა ჩინებულ მყო.

მაჩუჳნებელი დამნახუჳბელი.

მაჩქათელა მღამიობი V.

30 **მაჩხი** თვალ ჭრელი.

მაჩჳ (11. 6 ლევიტე.) ო.

მაცა მაცალეს ნაკუჳთი.

მაცადე მომიცადე.

მაცალე მოცდა მომეც.

35 **მაცახი** ესე არს ფიწალივით რკინა აკრას ამოსახუჳტი, პინასისა და ხამანწკასათჳს.

მაცთენელი სწორის შემშლე-ლი.

მაცთური (27. 63 მათე) ცთუ-ნების მოქმედი.

მაცილებელი ცილების მოყუა-რე.

მაცხოვარება (41. 16 დაბად.) ცხოვრების ქონება.

(სია 211) **მაცხოვარი** (12. 2 ესაია) ცხოვრების მოქმედი.

მაძაგა საძაგლად გამთქუა.

მაძლია მოცემა მითქუა.

მაძლევდა მომცემელობდა.

5 **მაძლევინა** ძლევა მაქნევინა.

მაძღარი საჭმლით ამოვსილი.

მაწაკი თშა ყურთ საფარი, ლუ-ლამბარი.

მაწანებელთამი (31. 2 იერემია) მოსუჳნებასავით. „ესრეთ თქვა უფალმა: ვპოე სიტფოჲ უდაბნოსა შინა მომსვრელ-თა თანა მახვილითა მიმა-ვალნი მ ა წ ა ნ ე ბ ე ლ თ ა-მ ი ისრაილისათა: ვიდოდეთ და ნუ მოსრავთ ისრაილსა“.

მაწაქი ფურცელ ბრტყელი ♥.

10 **მაწაწური** ჭურის ამოსაჴოცელი.

მაწიერი დიდხანს ეყოს რამე.

მაწოვარი ძუძუს ჟამსა დედას მაწოვნებელი და ჩჩჳლსა მაწოვარი ეწოდება.

მაწოვნებელი მაწოვარის დედა.

მაწონი წუწლა.

15 **მაჭაკალი** სიძჳს შუა მავალი.

მაჭარი ახალი ღჳნო.

მაჭი ერქვნის საჭელური.

მაჭიკი დვრიტა.

მაჭირვებელი (19. 20 ესაია) ჭირის მომცემი.

20 **მახა** ყანაა, ასლს ჰგავს ♥.

მახათი დიდი ნემსი.

მახალაკი აგბა.

მახალი (13. 12 ივლით) ხურჯინია.

მახარა V.

25 **მახარა** ხარება მითხრა.

მახარებელი სახარების აღმწერი.

მახარი კოლოტის პალო.

მახარობელი (1 მეფე. 31. 9) კეთილ მოამბე.

მახე ზოგადი სახელი არს ყოველთა შესაპყრობელთა.

ხოლო მახენიცა ჯურეთ განიყოფვიან: რამეთუ საბრკე არს მახე ჴუნდი, რომელსა შემზადებენ რკინითა, ანუ ხეთაგან და დაუგებენ მარჯუჳთა ადგილთა დიდთა ნადირთა შესაპყრობელად.

ისხერტი არს მახე შემზადებული ძელთაგან მჴეცთათჳს, თავს დასაცემელი.

ირუჭი არს მახე ხითა და თოკითა შემზადებული, რათა ფერჴითა მალლა შეჰკიდოს ნადირი.

საიფეჴო არს სხუარიგად თოკითვე ადგილზედ შეუპყრას ფერჴი.

ილინჭა არს მახე გალიათა მსგავსი სირთათჳს.

აკანათი არს მახე ძუძთა და ჩხირითა სირთათჳს.

პოტიკო არს მახე მწყერთათჳს, გრძლად ნაგები.

საცერკოდი არს მახე გრკოლითა და მშჳლდითა ტრედთათჳს.

გულყო არს მახე ყელს გარდასაცმელი ხალასა ზედა.

ხარვგუავი არს მახე დიდის მჴეცით თაგუამდე (სიბ 212) სხუა და სხუარიგად თავს დასაცემელი.

მახვა გამახვა, წამახვა, დამახვა.

მახვილი (2. 35 ლუკა) ესე არს მსწრაფლ მკუეთელი რკინა, გინა თვალი და გონება.

მახვიმალი სასებისკურე ფქჳლი.

მახინჯი ხეიბარი.

5 **მახიობელი** ხუმარნი (2. 1).

მახლახი საფეიქროს იარაღია.

მახლობელი (2. 1 ქება) ახლო მყოფი.

მახოხი სომეხთ შეჭამადი ქატოსი.

მახრა ბოსტანა ~.

10 **მახრუტი** ჭიქა არს ღრმად კოდილი და სითხით ჭრელებული (ღვთის მეტყვე.).

მახსოვარი ძუძლის საქმეთ მცოდნე.

მახსოვს არ დამვიწყებია.

მაჯა ჴელის სახსარი.

მაჯაგანი ტყავის მოსაქნელი რკინა.

15 **მაჯლაჯუნა** ესე სენია, ძილსა შინა წაეკიდების სისხლის უძრაობისა მიერ და ესრეთ ჰგონებს, ვითარმედ დააწვა ვინმე, ანუ ერკინა ვინმე და განიფრთხობს.

მაჯნა მედადი, გინა ექთი (2. 152 მამადცხო.).

მაჯუნი სხუათა ენაა, ქართულად დუბეიდი ჰქვიან.

(ბ) **მბადა** დამბადა.

მბანდა ბანებას მიზემდა.

20 **მბანდი** ბანებას მიზემდი.

მბასრობდი ბასრობას მიზემდი.

მბაქევდი ბაქს მეტყოდი.

მბაძევდი ჩემს ბაძს იქმოდი.

მბაძვიდი იგივე.

25 **მბდვინვარე** (12. 20 მათე) პატრუქი რა დაშრეტას ლამოდეს და არღარა ნათობდეს.

მბეგრავდა ბეგარას მდევდა.

მბერავი (2. 1 ნაობ.) შემბერავი.

მბილწებელი ბილწების მოქმედი.

მბირებელი გარდაბირვის მოქმედი.

30 **მბრუნავი** ბრუნვის მოქმედი.

მბრძანებელი ბრძანების მთქმელი.

მბრძნობელი ბრძნობის მოქმედი.

მბრძოლი ბრძოლის მოქმედი.

მბრძოლი პირველად ბრძოლის ამშლელი.

მებრძოლი მისი წინააღმდგომი მეპირისპირე.

მბრძოლილი კვალად ნაბრძოლი.

უბრძოლელი ბრძოლამ ვერ ავნოს.

უბრძოლი ბრძოლა არ ექნას.

(სიგ 213) უუბრძოლესი დიდდიდად მბრძოლი მეტად.

საბრძოლი ბრძოლის ადგილი.

საბრძოლელი ბრძოლის საქმარი საჭურველი.

მბრწამლი ბრწამლის რქები.

მბუდებელი ბუდის მოქმედი.

მბურავი ბურვის მოქმედი.

(გ) **მგავს** მსგავს ჩემი არს.

5 **მგალობელი** გალობის მოქმედი.

მგამა მეზრუნება.

მგბარი (25. 30 დაბად.) მოხარშული.

მგბოლვარე ნადუღარი.

მგე თჳსსა ზედა თჳსებასა მოუკლებელი.

10 **მგებელი** სიტყჳს პასუხის მიმცემელი;

მგებელი მდგომი.

მგებელი კერპთა შემწირველი.

მგებელი ამშენებელი.

მგებდე მიცდიდე.

მგელი (10. 12 იოანე) **ო.**

მგზანის გაგზავნა ჩემი ნებავს.

მგზავნის იგივე.

15 **მგლის** მგამა; რა მგლის რა მგამა.

მგლისხორხა ♥.

მგლოიარე (2 მეფ. 14. 2) გლოვის მოქმედი.

მგმობარი გმობის მთქმელი.

მგოზელი (13. 15 ეზეკი.) შემლესავი.

მგონია გონებით მომისაზრავს 4. 2 ეზეკი.).

მგორვალა პილპილი ⚲.

მგოსანი (9. 23 მათე) ვაჟნი ႣႦ ქალნი კეთილად მომღერალნი ჴმითა სამუსიკოთა ებანთა ႣႦ ბარბითთა ზედა.

მ ე გ ო დ ე ბ ე ნ ი ც ა გლოვის მგოსნად ითქმიან.

მგრაგნელი (2 შჯულ. 28. 39) ჭუა ფოთლის შემჭმელი.

მგრგუალი ყოვლით კერძო სწორი.

მგრგლოვანი.

მგრძნობელი შემტყობელი.

მგუარდლ აქათ იქით.

მგუემელი მცემელი.

მგულავს მეგულვების.

(დ) **მდაბალი** (2. 11 ესაია) უზვაო.

მდაბიო მსოფლიონი.

მდაბრ (2. 46 საქმე) „განიტეხდეს სახლ მდაბრ პურსა, რამეთუ არა აქუნდათ მათ ტაბლები, არამედ ჴელსა ზედა განიყოფდეს ႣႦ ეგრე იზარდებოდეს.

მდადი დიაცი სძლის მაყარი.

მდარე დარე.

მდგნალი ⚲.

მდგომი ზე ფერჴზე მყოფი.

(სიდ/214) **მდგური** სადგომს მდგარი.

მდებარე ადგილზე იდვას.

მდედრი დედაკაცური.

მდევარი (16. 4. ესაი.) უკან მიმწევი.

მდევნელი (51. 31 იერე.) ლაშქრის გაქცეული.

მდელო (19. 6 ესაი.) ესე არს ყოვლივე მწუანვილი ველისა, (3. 2 მალაქია წწ~ყლისა) წერილ არს, ვითარცა მდელოჲ მრეცხელისა არა რა სხუაჲ არს, გარნა არიან მდელონი, რომელი სარცხელსა განასპეტაკებს.

ხოლო მსოფლიონი მ დ ე ლ ო ს ა ზროხის ახალსა სკორესა უწოდენ, რამეთუ შართა და ხამთა იგიცა განასპეტაკებს.

მდვინვარე მბდვინვარე.

მდიდარი (5. 14 ესაი.) მრავლის მქონიარე.

მდივანი უსტართა მწერალი.

მდივნე სკორე ႣႦ მსგავსნი მისნი ნერგთა აღმაორძინებელნი.

მდინარე (2. 16 დაბად.) ესე არს წყალი დიდი მინადენი.

მ დ ი ნ ა რ ე დ ითქმის მრავალი სისხლი ႣႦ ცრემლნი, გინა სწავლისა ქადაგებანი.

მდოგვი (13. 31 მათე) ♥.

მდოვრე წყნარსა ႣႦ ჩქარს საშუალი.

მდრტვნავი ჩუმად მოჩივარივით.

მდუმარე (24. 17 ეზეკი.).

მდურვა სამდურავის თქმაჲ.

მდუღარე მეტად ცხელი ნოტიო.

მღღევარი (5. 19 გამოს.) საყოველდღეო საზრდო.

(ე) **მე** თავსა თჳსსა იტყჳს (9. 14 ჰრომ.).

20 **მე** ართრონი არს, ვითარ- მეაბანოე, მეზვრე, მეწალკოტე, მეჯინიბე, მეზროხე, მექათმე და მისთანანი ყოველთა ზედა.

მეაბანოე აბანოს მცველი.

მეაბჯრე აბჯრის მნე.

მეავილე ავილის მკურელი.

მეავლე იგივე.

25 **მეათე** (23. 26 ლევიტ.).

მეათძლე (18. 21 გამოცხ.) ათძლის მკურელი.

მეანდრო (12 იოსიპ.) „ტრაპეზსა ზედა მეანდრო აღმოტვფრეს“.

მეანი ყრმათა ამქმელი, დედათ მოურავი.

მეაფქიოე ნავის აფრის გამგე.

30 **მეალსარებე** ალსარების გამდობელი.

მეაქლემე აქლემის მწყემსი.

მებახტე უცხოებთ მროკავნი.

მებეგრე ბეგარის მოქმედი.

მებოძირი (22. 9 მათე) სადა გზანი შეიყრებიან მრავლად.

35 **მებრ** მსგავსადსა ით (2 ნემესიო) (2. 8 კოლასე.).

მებრუვე მარადის მთრვალი. (25. 20 ესაია).

მებრძოლი (10. 5 ზაქარ.) ბრძოლის მოქმედი.

(სიე/215) **მებუნებე** ბუნების მქონებელი;

მებუნეობა ბუნებით მეზოგადეობა, ერთობა.

მებურნე წურიმალთ მთლელი.

მეგობარი (37. 12 ფსალ.) ესე არს მიწყივ გაუყარი, სათანადო მოყუასი.

მედადი (1. 9 იობ.) ესე არს უფასოდ, გინა ცქთად, გინა ცუდად, გინა მაჯნად (52. 3 ესაია).

5 **მედახე** დასთ გამგე.

მედგარი (25. 26 მათე) მცონარი და მოუძლურებული.

მედგარი ითქმის მარადის ძვრისა დამმარხუჩლი გულთა შინა აღუჴოცელად.

მედგარი მსოფლიოთა ენითა მზაკვარად ითქმის, რომელმან ჭერჭითა დააკუჩთის მორკინალი თჳსი მიწასა ზედა ძლიერად.

მედგური სხუა სხჳსა საზლსა მდეგი.

მედიმნოსე სიკილათა აღმკრებელი ხარკთა.

მედიმნოსი სიკილონი.

10 **მედინი** მომდინარე, თუ წარმდინარე.

მედრეკანი ჯოხი რომ იდრიკებოდეს.

მეედანი მეიდანი სხუათა ენაა, ქართულად მერე და მინდორი და ფორე ჰქჳან.

მეეზვი ხუასტაგი მშობელი.

მეერანე შემაწყობელი.

15 **მეერდოვე** ერდოზედ მყოფი.

მეექუსე (1. 31 დაბად.) ექუსისაგანი ბოლოდ.

მეეჭუჩ ეჭჳს მოქმედი.

მევადობა ავად მიჩნევა.

მევალე ვალის გამცემი.

მოვალე ვალი თავს ედვას.

20 **მევაჟინე** სასმელებთ მნე. რომელსა შაქრითა და თაფლითა წყალთა და ხილის წუჩნთა შეაზავებენ, ვაჟინად უწოდენ.

ხოლო მ ე ვ ა ყ ი ნ ე თ ა—მისთა მოქმედთა.
მევარძმე ვარძმის მქნელი.
მევედრებელი მახუჱწარი.
მეველე ველის მცუჱლი.
მევეპე მეზღაპრე, რომელსა თურქნი ყ ი ს ა ხ ო ნ ს უწმობენ.
25 **მევერწმუნეთა** (2 კორი. 5. 11) ესე იგი არს სარწმუნოების დამმარხუჱლთა.
მეზარე ზარების მსხმელი.
მეზაფხულე აგარათა ზაფხულს მდევნი.
მეზმანა სიზმრად მეჩუჱნა.
მეზობელი (13. 4 დანიელ) ახლოს მოსახლე.
30 **მეზრახე** მოლაპარაკე (33 ნემესიო).
მეზუჱრე (18. 13 ლუკა) ზუჱარის ამღები.
მეზღაპრე მევეპე, ზღაპრის მთქმელი.
მეთანაღრება გულს მაკლდება სოფლურად.
(სივ 216) **მეთევზური** (19. 8 ესაი.) მეთევზე.
მეთქი (24. 12 რიცხ.) ესრე ვარქჳ.
მეიერუსალიმე იერსალიმს მყოფი.
მეიმწლიე ერთს წელიწადს ნაყოფიერი და მეორეს არა.
5 **მეინაკე** (12. 3 იოანე) მასთან მჯდომელი.
მეკანონე მეწესე.
მეკაპილე კაპილონის მცუჱლი.
მეკარე (10. 3 იოან.) მეკრე.
10 **მეკერმე** (21. 12 მათე) კერმის ამღები.
მეკეცე (18. 3 იერე.) ბრუტი.
მეკიცხევარნი (2 პეტრე 3. 3) განმკიცხველნი.
მეკვირნე დამკვირვებელი (5. ნემეს.).
მეკობრე მტაცებელი (დარეჯან).
15 **მეკომე** ქართ მოდგამი.
მეკრე კარის მცუჱლი.
მეკრისტონე (18 მამადცხოვრება).
მეკუდო მოკუდავი (კავშირი).
მეკუჭნავე საკუჭნაოს მცუჱლი.
20 **მელანი** (36. 18 იერემ.) შავი საწერელი.
მელევანდი (31. 50 რიცხ.) ქელსაბამი სამკაული.
მელეული ფეტჳს ძნეული, ჩერგილი.
მელთარათა (ხონოლროფში).
მელი (8. 20 მათე) ო.
25 **მელიზლა** ლიზლობა მიქნა.
მელისკაკალა წვრილი მარწყუ ♥.
მელისკუდა ♥.
მელიქნა ლიქნა მიყო.
მელმანდრაგორი მ ე ლ ბერძულად ვ ა შ ლ ს ა ჰქვიან. ვითარმედ ვ ა შ ლ ი მ ა ნ დ რ ა გ ო რ ი ს ა (30. 14 დაბად.).
30 **მელნის** თევზი შინ მელანი დგას ⚹.
მელოდე (1 მეფე. 10. 8) მიცდიდე.
მელხაბეპონი (11. 5 რიცხვ.) საზამთრო ♥.
მელტავრო აფროდიტის ცაჲ მესამე.

მელქა O მეფე, გინა განსუჟნება, გინა დედუფალი ნათლისა.

მელქიას O მეფე უფალი.

მელქისედეკ O მეფე სიმართლისა.

მელქისუაჲ მეფე მაცხოვარი.

მელხომ ამანიტელთ კერპს ესრე სახელ ედების.

მემაგე საქმართ მოყუარებისათჳს კაცის მკვლელსა და მოყჳასთასა ესრე ეწოდების.

მემათრაქე მეომრის მწურთელი.

მემარგე მერამლე, გინა მერგუბა მიყავ.

მემარტივე.

მემაშურალე (43. 22 ესაია) მაშურალი მედად.

სიზ 217) **მემაჭე** ერქვანთ მჭირავი.

მემახური (8. 1 ამოს.) მახის მიმდგმელი.

მემაჯანი მაძაბუნებელი (ვეფხისტყ.).

მემირონე (43 ზირაქ.).

მემორინე ნარდთა და ჭადრაკთა და მისთანათასა მოთამაშე.

მემრუშე (20. 15 იოან.) მრუში არს ვაჟი ცოლოსანი ბოზობდეს.

ხოლო მემრუშე ქალი ქმრიანი (13. 4 ებრაე.).

მემტილე (20. 15 იოანე) მებაღე.

მემუჩირე სთუმლში ტყბილის მომშოებელი მეკალმასე.

მემფის (46. 19 იერემ.) ქალაქია ერთი.

მემღერნი (3. 4 ესაია) მოთამაშენი.

მენა სამყოფი, სადგომი;

მენასა კახნი ტაგარსა უწოდენ და იგიცა ტყბილის სადგომია.

მენავე (1. 5 იოანე) ესენი არიან ყოველნი ნავთა მუშაკნი.

ხოლო ნავსე ეწოდების ნავის მაშენებელსა.

და ნავკოსალარი — მენავეთ მოძღვარსა.

ხოლო მეპრორე მენავეთ უხუცესსა.

მპირველობნი მენავეთ გამგებელსა.

ნავტური კატარღის მნესა.

და ნავტე მომცრო ნავის მენავესა.

ხოლო მხერვალი ნავის მავლინებელსა, უპყრიეს ტიმონი. და მეაფქიოვე აფრის გამგებელსა.

მენაკი (1. 16 ქება) ესე არს ხარისხი ცათა მზომელობისა, გინა თლილის ქვისა.

მენანე მონანული.

მენასა მეთვალწუნა.

მენდარიკო (იოსიპოსი) „თითოეული ფიალსა მოიღებდეს და ლეკანასა და სასაკმეველსა მენდარიკოთა ათთა შემძლებელთა დატევნად, აღსავსესა საკმეველთა“.

მენდიო ვეშაპის მსგავსი თევზი ✱.

მენება ნება მაქუნდა.

მენიდონ კრიტელთ მისანთა მისნობა.

მენიჯგორე ნიჟორგალი.

მენნახას ჰურიათა მღდელ მთავარნი სანიადაგო სამოსელზედ გარე მოიბლარდნიდენ ၊ მას ზედა სამღდელოთა სხუასა შეიმოსდენ.
მენოაგე (3 ეზრა. 4. 63) ჰამათა ზედა სახიობითა მსმელნი.
მენჯი კაცის თეძო.
მეოდახად რომელიმე დ ი ა ს იტყჳან, რომელიმე კ რ ო ნ ო ს ს ა, რომელიმე ბ ა ბ ი ლ ო ნ ს შინა პირველ გამეფებულსა, ანუ უკანასკნელსა, რომელსა ზედა იქმნას დაქსნა მეფობისა (50. 2 იერემ.).
25 **მეოთხე** (2 ეზრა. 9. 1) ოთხისაგანი.
მეორე ორისაგანი (1. 6 დაბად.).
მეორწილე (43. 2 ეზეკი.) წყალთა მრავალთა.
მეოტი (2 მჯულ. 19. 4) გარდანახვეწი.
მეოხება შეწევნასავით.
30 **მეპასუხე** პასუხის მიმცემი.
მეპრატაკე (10. 30 საქმე.) ტყავის მოქმედი.
(სიÜ 218) **მეპრორე** (1. 6 იონა) მენავესთან ნახე.
მეპურე პურის მცხობელი.
მეპურეთმოძღუარი (40. 1 დაბად.).
მეჟამნე ჟამნის მოქმედი.
5 **მერამლე** სხუათა ენაა, ქართულად მ ე მ ა რ გ ე ჰქჳან.
მერანი კეთილ მოარჳლი ცხენი ო.
მერარი დორაკი.
მერდინი (80. 56) (37. 40).
მერდინი თხელი საპერანგე.
10 **მერე** მეედანი, სწორი ვაკე.
მერე მერმეს ნაკუწთი.
მერვე (22. 27 ლევიტ.) რვისაგანი.
მერმე აწის შემდგომად.
მერიდის ტბა ბუხარისა (51. 15) (37. 50).
15 **მერმის** მომავალსა წელს.
მეროე ეგჳპტისა (61. 30)(16. 20).
მეროის კუნძული (61. 30) (16. 25).
მერრან O სიმწარე.
მერული ორთითი.
20 **მერქანი** ხეთ გული.
მერცხალი (6. 2 ბარუ.) V.
მერცხლისმდევარი რომელ არს ცელ მანგალა, ნამგალა V.
მერწყული (9. 21 ისო.) წყალთ მზიდავი.
მერჴი გრძელი სკამი.
25 **მესალიკე** მეთევზე.
მესამე (1. 13 დაბად.) სამისაგანი.
მესარიეოი (20 ნემეს.) „მუცლისაგან ၊ წელისა მესარიეოისა მიერ“.
მესახსუწნებლე მესაწოლე.
მესაწოლე საწოლის მნე.
30 **მესახლეობა** მეზობლად დამკჳდრება.
მესთულე (48. 32 იერე.) სთულის მქნელი.
მესია O ცხებული უფლისა.
მესიზმრა სიზმრად მეჩვენა.
მესიზმრე სიზმართ ამხსნელი.
35 **მესიკო** (·) (20.).
მესინა სიკილიისა (40. 30) (38. 30).
მესიტი O შუამდგომელი.
მესკია სკვინჩას ჰგავს V.

მესოლამ O მშვდობის მყოფელნი.

მესოპოტამია სოფელი ესრეთ თქმული, ვითარმედ ორთა მდინირეთა ტ ი გ რ ი ს ი და ე ვ ფ რ ა ტ ი ს მიერ შემოიცვებიან.

მესტრაიმ O რომელი შეიწიროდიან.

მესტუმრე (16. 23 ჰრომაე.) სტუმართ მოურავი.

მესტკრე (18. 22 გამოცხ.) სტკრის მკურელი.

მესხვეი გასხუაებული.

(სით / 219) **მესხლეტი** ფერჴის მოსაცურვებელი.

მეტაბეელ O სახიერი ღმერთი.

მეტაბლე ტაბლის მოურნე.

მეტადრე (7. 7 დანიე.) ნამეტნავზე წარზიდული.

მეტავატიკოსად მიმოდაცვალებით.

მეტაფრასი ამბავთ განვრცელება.

მეტი (6. 21 იობ.) ზომაზედ ჭარბი.

მეტიჩარა სხუათ სარიგებელთ გამგებელი, გლეხურად, რომელ არს წ ა რ მ დ ე ბ ი.

მეტკუცთილი (9. 25 იერე.) წინა დაცუცთილი.

მეტოზიკე ტოზიკთან ნახე.

მეტოქი სამყოფი მონაცვალე.

მეტროჲ ლიტრასთან ნახე. ბერძულია.

მეტყუცლი (7. 23 იერემ.) მოლაპარაკე.

მეუნჯე (22. 15 ესაია) უნჯის მცველი.

მეუფე (27. 37 მათე) დიდი მეფე.

მეუფება (18. 36 იოან.) ესე არს ყოვლისა საზღურისა და შემოკრებისა და წესისა განმყოფელი.

მეფა (44. 18 იერე.) დედუფალი მეფა.

მეფე (26. 27 საქმე) ეწოდების კაცსა ჴელმწიფესა, მაღალსა და გჳრგჳნოსანსა;

ხოლო მ ე ფ ა ქალსა, რომელ არს დედუფალი.

მეფია (44. 18 იერე.) დედოფალი.

მეფსალმუნე ფსალმუნის მთქმელი.

მეფუნდრუკე ფუნდრუკის მქნელი.

მეფუნდუკე ფუნდუკის მნე.

მეფხანი (21. 20 ლევიტ.) მქავანი.

მექმე მოქმედი.

მექონე მქონიერე, გინა ქ ო ნ ი ს მსყიდველი.

მექონოთნი (27. 19 იერე.) ალსავალთან ნახე.

მექორწილე ქორწილის მქნელი.

მექუდე ჭონი.

მექუცყნენი (14. 1 ესაი.) ცუდნი მუშაკნი.

მეყსაშინა (48. 3 ესაია) ანაზდეულად.

მეყხეული (24. 45 დაბად.) იჩქითი.

მეყჳსი ეყოდეს რითმე.

მეშვე ნაყოფის მოქმედი.

მეშველი შველების მოქმედი. (7 კავშირ.).

მეში ცუდი სამოგვე.

მეშურნე შურის მოქმედი.

მეშვლე (2 ეზრა. 8. 18) შვილთაგანი.

მეშფოთე შფოთის ამშლელი.

მეჩანგე ჩანგის მკურელი.

მეჩეჩი ვრაქია.

მეჩუჩნა მენახუა.

მეჩქურმან ეჭვის მგონებელმან.

(სკ/220) **მეჩხარი** იშვთი.

მეც სხუასთანა თავისაცა თჳსისა ჴსენებაჲ არს.

მ ე ც ითქმის მომეც.

მ ე ც ითქმის მგუცმე.

მეცა მეცა, გინა მომხუდა.

მეცადნი მცდელიო, მოსესთჳს იტყჳს.

მეცარი ტყუვილი ბებლის მცნობელი.

მეცვა მემოსა.

მეცით მომეცით, გინა მგუცმეთ.

მეცნავი (2. 8 იერემ.) მეცნიერი.

მეცნიერი (24. 16 რიცხვ.) მცნობელი.

მეცხრე ცაჲ ამას უწოდენ ბროლის ცასა, რომლისა მოქცევ[ა]სა ფილასოფოსნი ორმეოცდა ცხრა ათასთა წელიწადთა შინა იტყჳან დ~ რომელიმე ოცდა თექუსმეტი ათასთა წელთა შინა დ~ ამა ცის მოქცევისა შემდგომად სოფლისა ალსასრულთა დ~ ყოველთა ცათა სამკაულისა მოშლასა დ~ მაშინლა სასჯელსა.

მეძავი (2. 1 ისო.) ქალი უქმრო ბოზი.

მეძებარი ძაღლი მეკულე.

მეძიებელი მძებნელი.

მეძილისშინათა მესიზმრეთა.

მეძინა ძილში ვიყავ.

მეძინებოდა ძილი მინდოდა.

მეწამული (27. 28 მათე) სისხლის ფერი.

მეწეხე გამრიგე.

მეწიე შემეწიე, მომეწიე.

მეწინავე წინა მბრძოლი.

მეწყერი გუცრდობა დამხლუღეული.

მეწყინა (2 კორი. 4. 1).

მეჭეჭი.

მეჭეხა ♥.

მეხარკე ხარკის ამღებელი.

მეხვაიშნე მომჯმარე.

მეხი რა ფრიადი სიჴშო ნისლისა დადგების ქუეყანასა ზედა, აღიღებს მტუცრთა ილექროთაგან. ესენი ყოველნივე ოთხთა კავშირთაგან არიან დ~ ნისლთა მათ შინა მოკრბებიან დ~ ერთად შეგუამდებიან დ~ განფიცხდებიან; რა ჰ.ერი ველარ. იტჳრთავს, განსქდების დ~ ჩამოიჭრების. მზისაგან ესეთი სიმჴურვალე აქუს, რასასა ეცემა ცეცხლისაგან უმეტეს შესწუავს (38. 35 იობ.)

მეხრიკეობა ხრიკის ცოდნა (კათიღორ.).

მეხსიერობაჲ არს ხსენებისა დ~ აღხსენებისა მიზეზი და საუ...

მეხუთე (1. 23 დაბა.) ხუთისაგანი.

მეჴელნი მკლავნი.

მეჯადაგე მეჯლანე (ევსტათი ქართველი).

მეჯაუკე (ხალკიდონის კრებაში).

მეჯინიბე ჯინიბის მატარებელი.

(სკა 221) **მეჯლიში** სპარსთა ენაა, ქართულად ნადიმი ჰქვან.

მეჯოგე ჯოგის მწე.

მეჯორე ახოსალარი (1 მეფ. 21. 7).

მეჯურმუცე „მეკობრე, მეჯურმუცე ტ მპარავი".

მეშარი მარი, თათართ ქებინი.

ესრეთ ყოველთა სიტყუათა ზედა მე ართრონად მოვა და მნეთა და მოქმელთა გამოსაცხადებლად.

(ვ) **მვირსინი** (41. 19 ესაია) მურტი ϒ.

მვირსიონი მურტი ϒ.

(ზ) **მზა** (14. 15 მარკო.) მომზადებული.

მზადება მზა ყოფის ქნა.

მზაკვარი (5 ფსალ.) ზაკვის მოქმედი.

მზარდული (15. 8 დაბად.) გამზრდელი.

მზარეული არს საჭმლის მოქმედი.

არამედ რომელთამე წიგნთა შინა მზარეული ქონდაქარი ალუწერიათ, კაცის მკვლელობის მოქმედი, რომელი იყო ნაბუზარდან.

მზახლობა (2 შჯულ. 7. 3) მძახლობა.

მზე ✳ ესე არს მეოთხესა ცასა ზედა, რომელსა ეწოდების კოჭიმელი.

ხოლო არს სიდიდე მზისა 166 ჯერ ქუეყნის ოდენი. ესე ცაჲ ერთჯერ მოიქცევის წელიწადსა შინა დასავლით აღმოსავალის მიმართ (1. 16 დაბად.).

მზეგრძელობა დღეგრძელობა.

მზეენაობა ენა მზეობა, ენა ნათლად მეტყუელება.

მზეველი მწეველი.

მზერა ჭურეტა (13. 15 დანიელ) მზერაცა ესრეთ განიყოფებიან: ხედვა არს რა თვალით კეთილად ხედვიდეს.

ჩენა არს რა აკლდეს და მცირედ ხედვიდეს.

მზერა არს რა შორით ხედვიდეს.

ჭვრეტა არს რა ხანგრძლით დაკჳრვებით უმზერდეს რასმე.

ცქერა არს გარჩევით ხილვისათჳს ახლორე დაცქერით თვალი დააპყრას.

ჭვიროება არს რა სარკმლითგარ გამოიხედვიდეს.

მზერა არს გულის წყრომისა დამარხვა, რომელ არს დარილი.

მზესუმზურიტა ♆.

მზვარე ადგილი მზის მდები.

მზველავი ზველვის მოქმედი.

მზვლარი მეწყერი.

მზიარებელი ნაწილის მიმღები.

მზიდავი ზიდვის მოქმედი.

მზინვარება (40. 3 ეზეკი.) ბზინვა.

მზირი (49. 17 დაბად.) ყაზახი, გინა მსტოვარი.

მზიხა კვირიაკე საუფლო.

მზისიერი განჯაფის თავი.

მზის მოქცევი 28 წელიწადთა მოქცევა, მ ზ ი ს მოქცევად იწოდების, ვინათგან მას შინა არიან სლვანი წელი-
(სკბ/222) წლისანი დ თთჳს დადეგ-ნი დ დღენი ნაკთანი დ ჴელთა ცხრილები დ კალან-დრანი.

ხოლო ვინცა მათემათიკას ისწავლის, მრავალს სხუასა ჰპოებს.

მზნელი ზმნის მოქმედი.

მზორავი ზორვის მოქმედი.

მზრახველი (33. 15 ესაია) ზრახვის მოქმედი.

მზრდელი ზრდის მუშაკი.

მზრუნავი ზრუნვის მყოფელი.

(თ) **მთა** არს ადგილი მაღალი დ ცივი.

მ თ ი უ ლ ე თ ი დაბანი ქვეყნებ-თა მისთა დ მ თ ი უ ლ ნ ი მუნ მკვდრნი კაცნი.

ხოლო ა გ ა რ ა, ვაკე დ მახ-ლობელი მისი ადგილი დ გრილი.

მთაბომონი ✳.

მთავარი (66. 28 ფსალ.) ესე არს უფროსი, გინა თემის მპყრობელი.

მთავებელი გამთავებელი.

მთავნებელი სათავნოს მოქმე-დი.

მთავრობა (1. 26 დაბად.) ჴელ-ქუჱშეთა უფროსი.

მთაყუანებელი თაყუანის მცე-მელი.

მთენი მანათებელი.

მთესვარი (13. 3 მათე) თესლის მბნეველი.

მთესველი თესლის მბნეველი.

მთიბელი (9. 22 იერე.) თივის მომჭრელი.

მთიები ესე არს ა ფ რ ო დ ი ტ ი, რომელ არს ცისკრის ვარსკულავი.

მ თ ი ე ბ ი ითქმის განმანათ-ლებელად.

მ თ ი ე ბ ი რომელი (ესაიას წიგნში 14. 12) წერილ არს, იგი არს მთავარი ეშმაკთა და აწ წმიდათათჳს არს სა-ხელი იგი დ ადგილი მისი ზეცისა სასუფეველსა.

მთლელი თლის მოქმედი.

მთმობელი თმობის მოქმედი.

მთნავს სათნო მიჩნს.

მთოვარე ☾ მთუარე (1. 16 დაბად.) ესე არს უქუჱმოესთა. ცასა ზედა, რომელ ცა-სა მას ეწოდების ჭ ი რ ა ნ ო. ესე მოიქცევის დასავლით აღმოსავლისა მიმართ ოცდა ცხრა დღე ერთ ჟამ დ 33 წამსა.

ხოლო მთოვარის ს ი დ ი დ ე არს მესამედი ქვეყნის ოდე-ნი.

მთობი (7. 7 ზაქარ.) მთის ად-გილები.

მთოვარისა ორშაბათი.

მთოვირის მოქცევი ეწოდების ათცხრამეტთა წელიწდისა მოქცევათა ზედნადებთა, ხუ-თეულთა, ექუსეულთა და მცხრალის რიგთა დ ეგე ვითართა.

მთრვალი მთვრალი (3 მეფე. 20. 16).

პირველისა შესავალთა კაცთა სიმთრვალისათა ეწოდებიან

(სკგ 223) |ბრუჟობა და მაზედ მეტსა მთრვალობა და თუ ვისმე სიმთრვალე გარდაერია, ეწოდება ლექა და თუცა სიმთრვალე განიადაგდა და მრავალ ხან სუა ღრეული ეწოდების, ვინათგან გალრევდება დიდ ხანს მსმელი ღვინისა მიერ.

მებრუვე მარადის მთრვალი.

ანკანაკება არს ზედა ზედ ნადიმი და სიმთრვალე.

მთქმელი თქმის მოქმედი (1 კორი. 10. 6).

მთქნარება ფქნარება.

მთქრომი შესთქრეს ვისმე.

მთხელვართა (16. 16 იერე.).

მთხზველი მწვნელი.

მთხოველი (18. 35 ლუკა) თხოვის მოქენე.

მთხრებლი (3 ეზრა 9. 42) ესეცა განიყოფებიან: რამეთუ მღვმე არს მთხრებლი კლდისა კაცთათვს საპატიმრო, გინა თავით თჳსით შთაჳდეს სინანულისათჳს.

ჭნარცვი არს მთხრებლი მიწისა მსგავსად მღვიმისა.

ორმო არს მთხრებლი მ:წისა ხვარბალთა და მისთანათა სამარხავად.

ხარო არს მთხრებლი შინაგან ქვითკირით ამოგებული.

ჭაჲ არს მთხრებლი კლდისა, ანუ ნაგები წყალთათჳს სადგომლად. ვიეთნი ლაკვას უჴმობენ.

ჯურღმული არს რა ურწყულთა ადგილთა თხარონ მთხრებლი, რათა მუნ წყალი აღმოეცჳნოს (48. 44 იერე.).

მთხრობელთ მთქმელი.

მთხრობელი (1 მეფე. 27. 11) სათქმელი.

მთხუწვა შეყრა.

მთხუნველი (11. 30 ლევი.) ბრმა თაგვი თ.

(ი) **მი** (12. 24 გამოსლ.) მისკენის ნაკუწთი, გინა მიმართისა.

მიაბარა შენახულად მიათუალა.

მიაკადა მიუტევა სამსონს.

მიანდერძა ანდერძი მიყო.

მიაჲელ O ბრკოლების მქნელი.

მიაჯა აჯა მიყო.

მიბრკმა ბრკოლება მექნა.

მიბრჯენა ჯოხთ მიჭირება და მისთანა.

მიბრჯნა პირისა და სიტყვს დაჟინება.

მიგდება ყურის მიპყრობა, გინა საქმის მაზე დადება, გინა ზედ შეგდება რისამე, გინა კარის მიჯრა.

მიგება პასუხის მიცემა.

მიგებება (24. 65 დაბად.) წინ შემთხუწვა.

მიგვიებითი თვალის ნიშნებით საცნობელი, ანუ იგავიანად გინა მარაგით.

მიგურა ცხოველი მიართვას.

მიდამო აქათ იქითი.

მიდგინება უკან შეყენება.

მიდგმა ზედ რამ მიაკრას.

მიდგომა

(სკდ 224) **მიდგომილება** (1. 18 მათე) ორსულობა.

მიდმოგონება გონებასთან ნახე (კავში. თავს).

მიდმოდება ცუდი საუბარი, თუ საქმე.

მიდმოობა აქათ იქითობა.

5 **მიდრეკა** ძრვა დაუცადებელი.

მიეგრობა ესე არს თანა მინა-ხეთქი, თანა იქცეს და თანა ივნოს.

მიეზოგვა განუნახევრა.

მიერ (5. 21 მარკ.) მისგან, გინა მის მაგიერ, გინა იქიდამ.

მიერაჲ O სიმწარე.

10 **მიერთამდე** (13. 4 ფსალ.) ერთამდისი.

მიერთი სრულიად ყოველთა (3. 4 ბარუ.).

მიერითგან (4. 17 მათე) იქიდამ.

მიერულა (3. 18 ნაომ.) მიეძინა.

მივაბადოთ ბადებულად შევქნათ.

15 **მივაბარე** შესანახავად მივეც.

მივანდოთ გული, გინა საქონელი მივაბაროთ.

მივაყვანე (2 კორი. 12. 18).

მივერჩდი დაუჯერებდი.

მივის (4. 17 იოან.) მყავს.

20 **მივლინებული** (1. 24 იოან.) მოციქული.

მივრდომა მივარდნა.

მიზდი (22. 15 გამოსლ.) ასალები რამ სარგო, ქირა.

მიზდური (22. 15 გამოსლ.) მიზდის ამღები.

მიზეზი (24. 28 ლუკ.) დაწყებასა ერთისა საქმისასა მიზეზი ეწოდების.

25 **მიზეზოვანი, წარმოი** შეისწავე, სამ სახედ განიცადების; პირველად თჳსსა მიზეზსა შორის, რამეთუ პირველად წარმოყენებისა მიზეზსა შორის ეგოს მიზეზოანი.

კ ა ტ ე ტ ი ა ნ, რომელ არს მებრ მიზეზობით.

კ ა თ ჳ პ რ ო ქ ს ი ნ, რომელ არს მებრ მყოფობით.

კ ა ტ ა მ ე თ ე ქ ს ი ნ, რომელ არს მებრ თანა მექონებით.

მიზეზოვნებითი

მიზვინება მჴეცთაგან მიტევება.

მით (1. 10 იონა) იმით.

მითელი საპირესა და სარჩულს საშუალი სხვა კიდევ.

30 **მითრად** ძველის სპარსულის ენით მზე.

მითუალვა (5. 3 იერე.) თვალის მიპყრობა.

მითხოვება ქალის მიქორწინება.

მითხრა

მიითუალა მისგან მიბარებული, თუ მისივე მიიღო.

35 **მიიკაბალოს** კაბალად შეიქმნას.

მიიქუა (2. 28 ლუკა) მკერდს მიიკონა.

მიილე (5. 17 ჰრომ.).

მიილუაროს მიიქცეს (1 ნემეს.).

მიიხილა მიიხედა (21. 2 ეზეკი.).

40 **მიიხუნა** წაიღო.

მიკადება მიუდინოს.

(სკვ / 225) **მიკერება** სამოსლის მინემსვა.

მიკი ქალთ ასო რამ.

მიკონება მკერდზე მიყრდნობა.

მიკონის მცენარე ☙.

5 **მილანი** (31.—) (43. 6).

მილბუნოს (6. 2 ოსე.) სალბუნი დამდვას.

მილი სხუათა ენაა, ქართულად ს ო ლ ი ნ ა რ ი ჰქვან.

მილი ფრანგულად ათასი ბიჯი, გინა ორასი წყრთა.

მილიონი მილი და მილიონი ორივ ლათინურია.

მ ი ლ ი არს ათასი; ხოლო მ ი ლ ი ო ნ ი ბევრის ბევრია.

ქართულში მილი და მილიონი არ გაურჩევიათ მთარგმნელებთა.

10 **მიმადლქბა** მადლის მიცემა.

მიმადლებული ღირსი, გინა მადლ მინიჭებული, სრულიად უნაკლულო (1. 18 ლუკა).

მიმართ (12. 2 მარკო) მისკენსავით.

მიმართა (1. 12 იონა) მისკენ წავიდა.

მიმართება (23. 38 იერე.) ესე არს გალი თუ თანა ედვას, გინა შ ე ტ ე ვ ე ბ ა, გინა მიმართოს.

15 **მიმაქცეველი** მიქცევის მქნელი.

მიმდემი (29. 37 გამოსლ.) დღე ყოველ დაუცადებელი.

მიმთხრობელი (4. 14 იერე.) მოციქული.

მიმინო (11. 16 ლევიტ.) V.

მიმოყუანა მიმგუარა (1 კორი. 12. 2).

20 **მიმო** (3. 33 მარკ.) აქათ იქით.

მიმოგონება ესე არს მოგონებისა ნელიად, ნელიად მოგონება.

ხოლო მ ი დ მ ო გ ო ნ ე ბ ა მყის არა თანა მიდრეკა, არამედ ვითარცა ბიჯებით სლვითა მიწევნა საგონისთა.

მიმოდაყუნა აქათ იქით განაბნიგა.

მიმოსი მოთამაშე კაცი, რომელი იქმს საკვირველებათა და ძნელებთა არა გრძნებითა, არამედ ჴელოვნებითა (37 ლავსაიკო.)

მიმოხტვანება მიხედ მოხედვა.

25 **მიმოწვლილვა** (2 თესალ. 3. 11) ცუდი გამოძიება.

მიმოჴსენება მცირე მცირედ ჴსენება.

მიმრეცი ალმა მოგუწრდოთ სლვაში მიქცევ მოქცევა კანკელად.

მიმცემელი უქონელის გამაქონებელი.

მიმცემი მიმნიჭებელი.

30 **მიმლებელი** მიმტანი, თუ წამღებელი, გინა ამღებელი, გინა წამსმელი.

მიმწუხრი მიღამებული.

მინა ჭიქის სადგნე.

მინა ჭიქა არს ფერადი, ელვარედ შემზადებული ილეკრონთა ზედა, მხატრულად ქმნად შემზადებული.

(სკვ/226) **მინდობა** (14. 7 ესაია) უშიშრად ყოფა.

მინდობილ იყავ (2. 21 იოველ.) უშიშრად იყავ.

მინდორი ველი უმცროსი.

მინოაჲ მიონა. ამათთჳს გარეშეთა ვიეთთა უთქვამს: ქუეყანისანი სხუანი ნათესავნი რამენი უსიტყუნი, მრავალ ჟამოანნი ეშმაკნი, რომელთამე უკუდავად, რომელთამე მოკუდავად, რომელთა ჩვენ არა ვირწმუნებთ.

მინოა მჳონა.

მინორიკა კუნძული (19. 30) (40. 10).

მირთმა ძღუნის მიტანა.

მირკანი (40. 1 გამოსლ.) მარტი.

მირონი (4. 10–ქება) ესე არს კურთხეული ზეთი.

მ ი რ ო ნ ა დ ითქმის სუნნელი ზეთი.

მირქმა გულზე მიკონება.

მისანა საყანყური ~.

მისანი (2. 6 ესაია) შემტყობი.

მისგან (10. 4 ზაქარი.) იმისგან.

მისგითი თათართ შესაკრებელი.

მისდამი (1. 11 იონა) მისკენ.

მისე O იგავთ წიგნის სახელია.

მისევა შესაპყრობელად შეუზახოს.

მისი (2. 10 დაბად.) იმისი.

მისია O გარდამავალი.

მისიანი ტომთაგანი ვინმე.

მისური წნული რამ კალათი.

მისფათ სასჯელი.

მისხი ტომის ტომთაგანი.

მისხონი ესე არს ხეთ ფურცელს მარცვალივით რამ ებას.

მიტანა თან მიღება, გინა მიდევნება.

მიტევება გაშვება (34. 17 იერემია).

მიტრა (29. 6 გამოსლ.) მღდელმთავრის გჳრგჳნი.

მიტრაპოლიტი დედა ქალაქთ მთავარი.

მიტრი მოხრილი, გრძელი კიტრი.

მიტყალი დრამ ნახევარი.

მიუზლო ნაცვალი უგო.

მიუთხარ (1 კორი. 9. 14).

მიუკვალევნ (4. 74 მამადცხო.).

მიუკუნისამდე

მიუწდომელი ორად ითქმის: დასაბამი და დასასრული. დ ა ს ა ბ ა მ ა დ ვითარზეშთა შევიდეს გონება ღვთისად მიუწდომელ არს. ხოლო დ ა ს ა ს რ უ ლ ი ქუშდ: შემდგომად: უკუდავება სასუფევლისა და სატანჯველი ჯოჯოხეთისა საუკუნე, არა აქუს მიწთომილება.

მიუწოდა მიიჴმო.

მიუწონა (26. 15 მათე) წონით მისცა.

(სკზ/227) **მიფანიერება** სწრაფად დამალვა.

მიფიოსთე O პირით შეურაცხი.

მიფლო (22. 13 რიცხვ.) მფლობელ მყო.

მიქ შემიქ თუ მიზამ.

მიქა O გლახაკი, გინა მკოდოვი.

მიქადა მოცემას დამპირდა.

მიქადაგა ქადაგება მითხრა.

მიქაელ O ერის მთავარი, გინა ღმერთი ძლიერობს ღთუ-ლად.

მიქია O ვითარცა მიქაელ.

მიქმ მიქ.

მიქმა მირქმა.

მიქმნა შემიმზადა.

მიქმნა მიყო.

მიქოლ O ჵი ყოველნი.

მიქსოვა მომიქსოვა.

მიქცევა მიბრუნება.

მიღება (1. 1 ამბაკო) გაგონებას იტყჳს.
კვალად მ ი ღ ე ბ ა არს ბრძანების მიცემა, ანუ საქმისა რისამე, ანუ საზრდელისა, ანუ ჭურჭლის აღება.
მიღირს მმართებს, გინა მიმაჩნია.
მიღმა შორი ახლოს საშუალი.
მიღმართი მიღმას წაცილებით.
მიყოლა მიდევნება.
მიყრდნობა მიყუდება.
მიყრილი ახლო ახლო დ̃ ჴშირად რაჲცა იყოს;
გინა მოქლონები წ ა ყ რ ი ლი;
გინა თვალი, ყური, გული რაზედაც ე პ ყ რ ა ს.
მ ი ყ რ ი ლ ა დ ითქმის ჟამთა გამოვლა და ხანთა შემოკლება.
მიყუარენი (20. 10 იერე.) მოყუარენი.
მიყუარ მიყუარხარ (21. 15 იოანე).
მიყუარს სიყუარული მაქუს.
მიყუდება ზედ მიდება.
მიშავს დამიშავდება.
მიშლი მოშლასავით.
მიშლის საქმეს მიქცევს.
მიჩანს ვხედავ.
მ ი ჩ ა ნ ს ჩემთჳს ვხედავ.
მ ი ჩ ა ნ ს გამოჩენით მაქუს.
მიჩნევა პატივის ცემასავით.
მიჩნს მიჩანს.
მიჩუენა (22. 1 გამოცხ.) დამანახვა.
მიც მიძეს.
მიცემა არს რაჲც შენი მისად შეჰქმნა.

მიცი (1. 29 იოანე) მიცნობ.
მიცნა ნახვაზე მოვეჴსენე.
(სკჩ / 228) **მიცს** მიც.
მიძეს მაქუს.
მიძლევა ახმა დ̃ ძალის მიტანებით მიცემა.
მიძლევიეს ძლევა მიქმნიეს.
მიძღოლა წინ წაძღოლა.
მიძღუანა წინ მიტანა.
მიძღუნა ძღუნის მირთმა.
მიწა (13. 5 მათე) ქუეყანის ნაწილი.
მიწალები არჯასპი.
მიწდომა
მიწდომილება ყოველთ ცოდნის მიტანება.
მიწევა თავისკენ მიიზიდოს;
მ ი წ ე ვ ა უკან დევნით ეწიოს.
მიწევნა საზომზე მისლვა.
მიწესს (18. 3 გამოს.) მიძახის.
მიწის ლომი (2. 14 სოფონ.)~
მიწის ვაშლი ✓.
მიწოლა
მიწროვანი მიწა ჴშირი და კეთილი (2 დიოლოლო.)
მიწურვა მიახლოება.
მიწყალე (50. 1 ფსალ.) შემიწყალე.
მიწყოვ მარადის.
მიჭელტვა ჭელტვასთან ნახე.
მიჭვრიტა მიმზირა.
მიჭვრიტანა სარკე.
მიჭრა ჩქარა მისვლა;
მიჭრა მიკუეთა.
მიხანოჲთა მ ი მისკენ და ხ ა ნ ო ჲ თ ხან გამოვლით (185 კავშ.).
მიხვედრება ხუედრის მიცემა.
მიხილა მნახა.
მიხლება ზედ მიდება.
მიხმა წართმა.

მიჸდომა ზედ მისლვა.
მიჸმ (1 კორი. 12. 21).
მიჯნა მცირე რამ საზღურის ნიშანი.
მიჯრა ჯრაში ნახე.
35 (კ) **მკა** (18. 5 ესაი.) ყანის მომანგულვა.
მკადრეზელი შემმართებელი.
მკაზმავი კაზმის მოქმედი.
მკალავი კალით მფერავი.
მკალი (1. 6 მარკ.) ნათლის მცემელი რომელ მკალსა ჰამდა. რომელიმე იტყვან მწუწრვალსა მდელოთასა ჰამდაო, მაგრამ ტყუილია, მართალი მკალი იყო, რომელსაც არაბნი დღესაც ჰამენ. მოგრძეა, ფრინავს.
40 **მკალია** მხლტომელი მკალი.
მკარგავი მარიგებელი, თუ დაკარგვს მქნელი.
მკბენარი კბენის მოქმედი.
მკდემელი კდემის მოქმედი.
(სკთ 229) **მკდნარი** (3. 16 ისო.) მტკნარი.
მკედი მოსხო ძაფი.
მკელობელი (3. 2 საქმ.) კოჭლი.
მკერდი (20. 26 გამოს.) ყელსა და მუცელს შუა.
5 **მკერვალი** კერვის მოქმედი.
მკვარი ფიჭვის სანთელი.
მკვახე უმწიფარი ხილი.
მკითხავი ამბის გამომეძიებელი.
მკითხველი ამბის გამომეძიებელი, გინა წიგნის წამკითხავი.
10 **მკლავი** (15. 2 ესაი.) იდაყვს წინათი.
მკმოლვარე (7. 4 ესაი.) ეკმეოდეს.
მკობა შემკობა, ამკო.
მკოდოვანი (30. 15 გამოს.) ფრიად გლახაკი.
მკრებელი შემკრებელობის მოქმედი.
15 **მკრეხელი** ეკლესიის საჭმართ მძრცველი.
მკრთოლვარე ცეცხლივით ელვარება.
მკრჩხალითა ჭანგ მახვლი (ვეფხისტყა.).
მკრძალავი (1. 7 ნაომ.) კრძალვის მოქმედი.
მკსინვარე (2. 6 გოდე.) მაწყინრად აშლილი.
20 **მკუალავი** კუალთ მოქმედი.
მკუდარი (7. 12 ლუკა) სულ ამოსული.
მკუწთი გამკუწთი.
მკუწთრ მალ, თუ მაშინვე (7 სიბრძნე).
მკუწცრისა (5. 1 ეზეკი.).
25 **მკუთველი** (3. 12 დანიე.) მომსახურებელი.
მკულელი (43. 7 ეზეკი.) კლევის მოქმედი.
მკული შემზადებული.
მკურის კევი (37. 25 დაბად.) ესე მკურისკევი არს: რ ე ტ ი ნ ე, მ ა ს ტ ა კ ი და რაიც ხეთაგან სუნნელი გამოეწუწთების.
მკურნალი (4. 14 კოლას.) სნეულთ მლხენელი.
30 **მკვდარი** (22. 38 მათე) დანიადაგებული.

მკვრნე გაკვრვებული.

მკვრცხე (7. 20 საქმ.) მკვრცხესა და მკვრცხლსა განკრძალვით გარჩევა უნდა, ვითარმედ მწერალნი არ დაჰკვრვებიან.

მ კ ვ რ ც ხ ე არს, რომლისათვს სტეფანე იტყჳს (გამოსლვათას 2. 2 მოსე) მ კ ვ რ ც ხ ე წინაშე უფლისა, რომელსა ლათინურად ეწოდების გ რ ო ტ ო ს.

ამის თარგმანი მ კ ვ რ ც ხ სახარულევანსა, გინა სათნოსა, გინა სასურველსა, გინა შვენიერსა ეწოდების.

მკვრცხლ (14. 13 მათე; 6. 33 მარკ.) რომელსა ლათინურად ეწოდების პ ი დ ე ს ტ რ ა ს ესე არს ქუშითი, ფრჩხივ მავალი.

სადაცა რომელი სიტყუამან აძლიოს, წერილში გარჩევა ჯამს.

(ლ) **მლაღავი** მოშუღარი.

მლაღობელი (31. 5 იობ.) ლაღობის მოქმედი.

(სლ 230) **მლაშე** მარილოვანივით.

მლევანე 51. 19 იერე.) ესე არს, რომელსა გულსავსება მიეღოს ზეგარდამო შეწევნისა აწვე.

გინა მეფეთაგან გულსავსე ქმნილ იყოს.

მლეწველი (1 კორი. 9. 9).

მლიქე გალეული.

მლმობელი ტკინვეული.

მლოდინე ლოდინის მოქმედი.

მლოცავი ლოცვის მოქმედი.

მლტოლვარე (10. 18 ესაი.) ლტოლვის მოქმედი.

მლხენელი ლხინების მოქმედი.

(მ) **მმადი** ცრულთან ნახე.

მმეფობი (33. 21 იერე.) მეფედ მჯდომი.

მმიმოობა (1. 13 ეზეკი). ერთმანერთში.

მმოთხრობილი მელელი.

მმოსელი შემსუდრავი, თუ შემოსელი.

მმურკვნელი (7. 3 ესაია) მრეცხელი.

მმურკნელი (9. 2 მარკ.) მრეცხელი.

მმურკნელობითი შესქელებულივით.

მმწყელი მწყველი (2 ეფრემ).

მმწყსელთა (23. 2 იერე.) მწყემსობის მოქმედი.

(ნ) **მნა** (19. 13 ლუკ.) ებრაულად: ვ ი ნ ა ხ ა რ ე ს; ხოლო ელლენებრ ტ ა ლ ა ნ ტ ი, რომელ არს ქანქარი.

მნათე კანდელაკი (დიოლოლო).

მნათლავი მღრდელი ნათლვის მოქმედი.

მნათობი (1. 14 დაბად.) არიან ვარსკულავნი.

უმეცართ მ ნ ა თ ო ბ ა დ უთქვამთ ვ ა რ ს კ უ ლ ა ვ მ ო რ ბ ე დ ი, რომელ არს ტ ა ტ ა ნ ი.

მნატებრივთა (37 ნემესიო) „ყოფაცა უკვე მნატებრივთა საუწყოთა“.

მნატრელი ნატრის მოქმედი.

მნახავი ნახვის მოქმედი.

მნახველი ნახვა ქნას.

მნდე მინდობილი.

მნე (16. 1 ლუკა) მოჯელე.

მნებავი ნების მოქმედი.

მნებავს (2 კორი. 1. 8) სათნო მიჩნს.

მნებებელი ნების დამრთველი.

მნერგავი ნერგის დამრგველი.

მნეტარებელნი (1. 12 ესაია) ნატრის შემცემელნი.

(ო) **მო** ართრონი არს. მრავალთა სიტყუათა თავად მოვალს, ვითარცა: მოქმედი, მოქენე, მოქალაქე, მოქელე დ მისთანანი.

მო მოდის ნაკუშთი.

მოაბ ○ მამისაგან, გინა ცუალება წამებისა, გინა წყალი მამისა.

მოაბადნი მებადურნი.

მოაზრე (3. 3 ესაია) აზრის ამღები.

(სლა 231) **მოალერსე** ალერსის მოქმედი.

მოარული (39. 14 ეზეკი.) სლვის მოქმედი.

მოასპარეზე ასპარეზში წურთილი.

მოასწავე პირველვე გამოაჩინა.

მოაქამდე (1 კორი. 4. 13).

მოალსარებე ალსარების მთქმელი.

მოახლე ახლოს მყოფი (23. 13 ეზეკი).

მოახლებულარს მოახლოებულა.

მობაგული (41. 15 ეზეკი.) გარსარკმელ მოვლებული.

მობაყუა მოკეცით ჯდომა.

მობაძავი სხჳს მსგავსის მქნელი.

მობლარდნილი (27. 7 ეზეკი.) მოხუშული.

მობმა მოიბასთან ნახვ.

მობერვა ქარის მოქროლება. მ ო ბ ე რ ვ ა არს შინაგანი მოგონების მოცემა ღუთისა მიერ.

მობრტყე მცირედ ბრტყელი.

მობრუკლება მოლუგება, გინა მოლბობა.

მობუზული ფრინველი მოწყენილი.

მობლუნძვა მუქლ. შემოკეცით წოლა.

მოგარეებული (43. 17 ეზეკი.) გარეშემო.

მოგება არს საქონლის შოვნა; გინა ნ ა ძ ლ ე ვ ი ს მ ი ხ მ ა; გინა მ ო რ ი ნ ე თ ა წაგება; გინა პ ა ს უ ხ ი ს მ ო ც ე მ ა.

მოგებული ნაშოვარი, გინა ნაპასუხარი.

მოგვალე (11. 19 ტობი.) მოდი იარე.

მოგვერდი თეძოს კრვა ფუნდრუკში.

მოგკუფხვლენ (3. 12 ესაი.) კუფხალს აგაძრობენ.

მოგლა (11. 8 რიცხ.) დანაყა.

მოგიძაგეთ (26. 29 დაბად.).

მოგ ზა მოგლისა.

მოგონება ესე არს მიმოგანყოფაჲ გონებისა სხვა დ სხვათა წინა აღმდგომთა მოგონებათა მიმართ.

მოგრძე სიგრძე შეეტყობოდეს.

მოგუარება გუარიან საქმის ქნა.

მოგჳ (13. 8 საქმე) ვარსკულავთ მრიცხველი, გინა გრძნეული.

მოგჳ ჩექმა.

მოგუნიშული მოგვს მსგავსი, გინა ზაკული.

მოგურა (60. 11 ესაია) მოყუანა.

მოდა ჩანახი.

მოდგამი (1 ეზრა 5. 3) მეკომე, ჯილდის მოზიარე.

მოდგინე მომჭირნე.

მოდგინება მომჭირნეობა.

მოდეგ აქ ახლორე მოვედ.

მოდეგა ჲ.

მოდი მოვედ.

მოდი საწყავი არს 22 ქსესტიანი.

ც ხ რ ა ა თ ა ს დ რ ა ჰ კ ა ნ ს ა მრაცხელნი ერთს მ ო დ ს ა უწოდენ.

(სლბ 232) **მოდინე** მოჯამაგირე.

მოდრეკა დიდად მოხრა.

მოდღრებული მოუღონოებულივით, მოშვებული.

მოდენა (32. 40) (44.—).

მოდენა წყალთა დ̃ ლაშქართა მომავალობა.

მოეგ მოდი.

მოელული ელვისაგან წამჴდარი უმწიფარი ხილი.

მოეფიტკრა ფიტი შეემზადა.

მოვალე ვალდ თავს ედვას.

მოვანება მთოვარის გავსა.

მოვასხე (24. 1 ესაი.) ვალის ამღებელი.

მოვახშო ვახში მოჰკრიბო.

მ ე ვ ა ხ შ ე ვახშის ამღები;

მ ო ვ ა ხ შ ე ვახშის მიმცემი.

მოვედ მოდი.

მოვეკუეთოს (11. 22 ჰრომ.).

მოვეცხლული (30. 22 ესაია).

მოვიეთთობათათჳს ვიეთ ვიეთათჳს საქონი (26 ნემეს.).

მოვიდა (27. 58 მათე) მოსლვა ყო.

მოვლა მიმოვლა.

მოვლენა მოსლვა, გინა გამოგზავნა.

მოვლინებული მოციქულთან ნახე.

მოზარდეობა აღორძინებითი ძალი.

მოზვერი (12. 5 გამოსლ.) ზროხასთან ნახე ო.

მოზოპვა ცუდის სათქმლის მოამბე.

მოზლუდვილი (2 შჯულ. 9. 1) ზღუდე მოვლებული.

მოზღურენი (49. 18 იერე.) მოსამზღურენი.

მოთავნე მთავნებელი.

მოთაკილე თაკილის მოქმედი.

მოთაული თავად მყოფი.

მოთემე მისისავ თემისა.

მოთიბა (8. 12 იობ.] თივა მოცელა.

მოთმენა დათმობა.

მოთმინება ესე არს რაჲც მოუნდეს არა ქნას.

ხოლო მ ო თ მ ე ნ ა არს მოყუასთა დ̃ უდარესთა დაუთმოს.

ხოლო უაღრესთა მიმძლავრებისა დათმენასა არა ვიტყჳთ მოთმენად, არამედ მ ო ჭ ი რ ვ ე ბ ა ს ა.

მოთნე (6. 6 ეფესელ.) მესათნოე.

მოთოჴნა (5. 6 ესაია) თოჴით მოთხრა.

მოთრეული თრევით მოღებული, გინა შესვრილი.

მოთუთქუა მცირედ მოხარშვა.

მოთხე სკივრის კოლოფი.
მოთხე მცირედ თხელი.
მოთხვითი (2 ნეშტ. 34. 11) ოთხ კუთხი.
მოთხვილი ბოხჩა.
მოთხრა (8. 11 ტობი.) მიწის ამოკუეთა.
(სლგ 233) **მოთხრობათა მწერალი** რაც ესმას, აღუწერდეს.
მოიბა არს კაცმა თოკი თუ მისთანა მოიბას.
მ ო ბ მ ა ა ხილთა გამოსლვა.
მ ო ბ მ ა ა ზურგად მოყვარე, ანუ დიდი ვინმე მოიკიდოს.
მ ო ბ მ ა ა კბო, ანუ ზვარაკი დათოკილი მოიყვანოს.
მოიგრემლნა (4 მეფე. 9. 30) თვალწარბი შეილება.
მოიკანტურა თავი მოიდაბლა.
მოიპარა (31. 19 დაბა.).
მოიპრიანა უაღრესმან მოიწადინა.
მოის რა მილმიდამ მოვიდოდეს.
მოისაპყრა თავი მოიკუტა.
მოისარი (1 მეფე. 31. 3) ისრის მსროლელი.
მოისუსნა სუსნება ქნა.
მოისურვა სურვილად მოაგონდა.
მოიტაკნეს ქუშ დასცეს.
მოიცვა (3. 7 ივდით) ჴელთ იპყრა.
მოიწია მოვიდა, გინა მოიახლოვა (5. 12 ჰრომ.).
მოკამათე მაცილებელი.
მოკარული (4 მეფე. 9. 11) ცუდ მოუბარი.
მოკვერტა პირის მოშაბვასავით.
მოკიდება არს ჴელით რასაც უპყრა, ანუ თვალი, გინა ყური, ფრჩხილი, კბილი, გაზი, ჩქიფი დ მისთანანი; ანუ სიტყუა ვისმე მოჰკიდოს.
მ ო კ ი დ ე ბ ა ითქმის წურბელი, კოტოში რა კაცსა მოჰკიდო, ანუ ზურგსა რამ იტვირთო, ანუ ცეცხლი აღაგზნო, გინა მოყვარეთ მობმა.
მოკითხვა კითხვა ყოს.
მოკიცხარი ქირდად ამგდები.
მოკლე უსიგრძო.
მოკლება რაჲ მყოფმან არა ყოფად ძრვა იწყოს.
მოკრება შორიელნი ახლოს შეიყარნენ.
მოკრეფა ხილთ მოსთულება.
მოკვრა ესე არს თვალი, ყური, ფრჩხილი ანაზდად შეამთხვიოს; გინა ჩაჴვისა პირთა შეჰკრვიდეს; გინა მოჰგუემდეს ვისმე.
მოკუდა (1 მეფე. 25. 1).
მოკუდავი სიკუდილს მიახლოებული.
მოკუდინება.
მოკუმთილი (9. 26 იერე.) მოჰრილი.
მოკურცხლვა ჩქარა ლტოლვა გლეხურად.
მოკუფხლვა (6. 9 იერე.) კუფხლის მოწყუშდა.
მოლანდება თვალთა იჩქითად ეჩვენოს რაჲმე უარსებო დ არა რა.
მოლაშქრე (31. 4 ესაია) ლაშქართაგანი.
მოლბობა (4. 6 ამოს.) ლბილად შექმნა.

მოლი ახალი ბალახი ჸ.

(სლდ 234) **მოლხინე** ლხინებული.

მომადლება მომადრივლება.

მომავალი (3 მეფე. 5. 14) მოსასულელი.

მომაკლო (37. 2 ეზეკი.).

მომართ (1 კორი. 15. 10).

მომატება ზედ დართვა.

მომაძლია ძალმოტანებით მომცა.

მომაწოდა მოწუდენას ეცადა და მომცა.

მომახურება მახის დარწყმა.

მომგოზელი (13. 15 ეზეკი.) შემგოზელი.

მომგრგუალება სფეროდ შექმნა.

მომდურვება სამდურავის მოქმედი.

მომედგრება (8. 9 იერემ.) მოსუსტება.

მომზადება ყოვლით მოწყობა.

მომთმინე თმენის მოქმედი.

მომთრვალე (1 კორინთ. 6. 10) მარადის შელვინებული.

მომთხრობელი მოციქულთან ნახე.

მომკალი (3. 4 რუთ.) ყანის მომმანგულელი.

მომკუდარუნება თავი მკუდარს ამსგავსოს.

მომკულებელი (4. 30. იერე.) შესამკობელი.

მომპოვნებელი პოვნის მოქმედი.

მომჟავებული მჟავედ შეცულილი.

მომჟავო მცირედ მჟავე.

მომსრველი (1 კორი. 10. 10).

მომტმასნება ძაფთ უნასკოდ გარდაბმა.

მომუჭულ მომუჭვილი (4. 16 ზირაქ.).

მომუხვა დამშხალული, გინა დახეთქილივით.

მომღერალი სამუსიკოთა ქმიანი, გინა მოასპარეზე და მეფუნდრუკე, გინა მემორინე.

მომყმარი მეტად მომშეული.

მომცრო უპატარაესი.

მომცხრებოდა დამთრგუნვიდა. თუ გამწიხნიდა (4. 31 ბარ.).

მომწირნე მრავლად გამრჯელი.

მომჭმარო ჭმარების მოქმედი.

მომჭრე მჭარზე მდგომი.

მონა (10. 28 მათე) ნასყიდი ვაჟი.

მონაგარი გარჯილობით ნაშოვნი.

მონაგები იგივე მონაშოვი.

მონადებ (2 ეზრა. 6. 13) ესე არს ლაშქარი ფასით შეძინებული.

მონავარდე ნავარდის მქნელი.

მონაზონა ქალი მოწესე.

მონაზონი ვაჟი მოწესე.

მონათესავე ნათესავთ მოყუარე.

მონაკა (32. 50) (48.—).

მონაჲ ნასყიდი ასული.

მონაობა.

მონასკუცბა ნასკვს შეკრვა.

მონასტერი ლათინურია, ქართულად (სლე 235) ს ა მ ზ რ უ ნ ვ ე ლ ო ჰქვან, მონაზონთ საკრებულოსა.

მონატრე საწადლის მახვეწარი.

მონაღვაწი ნაჭირვები.

მონაღულე მზრუნავი.

მონივთული (22. 14 იერე.).

მონიო მდინარე წყნარი.

მოოქროვილი (30. 22 ესია.) ოქროთ მოცული.

მოოჭვილი მოთვალული ოქროთა.

მოპეტალებული (21. 9 იგავი) პეტალით მოსილი.

მოპრუწვილი მოფხუწვილივით.

მოჟლუნვა სანთლის ნამწვის მოკუეცა.

მორავაყუნი შეუმრღუეველად გაწურვილი.

მორბედი მორბენალი.

მორგვი ურმის თვალის შუა კუნძი.

მორევა მტრის ძლევა.

მორევი მდინარის სიღრმე მდოვრე.

მორეკა ძალად მოდევნა.

მორეწა (25. 49 ლევიტ.) ჭელფასის აღება.

მორვა მომგრგუალება.

მორთვა მოკაზმა, თუ მომზადება.

მორთმა უალრესთა მოსცემდეს.

მორთულება შედგმულება (2 ნემესი.).

მორთული მოკაზმული; მ ო რ თ უ ლ ა დ ითქმის რაჲც მსგავსი რისამე შემზადო.

მორთხმა (7. 16 ოსე.) მშვლდის მოზიდვა.

მორთხმული (9. 3 იერე.) მოზეული.

მორი მამაკაცის ასო სარცხვნელი.

მორიას O სიმწარე.

მორიელი ~.

მორინვე ესე არს ნარდი, ჭადრაკი, განჯაფა ‧ ‧ მისთანა სამღერელნი.
ხოლო მ ე მ ო რ ი ნ ე მომღერალი მათი და ს ა მ ო რ ი ნ ე სახლი სადა მარადის იმღერიან.

მორიონი სიმწარის ადგილი, რომელ არს თხემის ადგილი (1 იოსიპო).

მორკინალი მოჭიდარი.

მოროს ბერძულად სულელს უწოდენ.

მორტყმა წელზე შემოკრვა.

მორუსხუა მოსუსხუა.

მორფი სახე (112 კავშირი).

მორფოანი სახოვანი.

მორყუნილი (12. 12 რიცხ.) ყრმა მუცელში მოწყუედილი.

მორჩენა ჭირისაგან ჴსნა.

მორჩი ნორჩი (10. 10 დაბა.) ახალ მოზარდე.

მორჩილი სხჳს ნების მყოფელი.

მორწმუნე (17. 9 იობ.) დამჯერებელი.

მორწყვა (16. 7 ეზეკი.) წყლის მიდენა.

მორჭმა გასაქონლიანება.

